

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 3

კ ე რ ძ ო

ნ ა წ ი ლ ი

1. განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა
 - განაჩენის დასაბუთებულობა
 - განაჩენის სამართლიანობა
2. საქმის განხილვა განსასჯელის დაუსწრებლად
3. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილე პირი
4. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის სავალდებულობა
5. განაჩენის შეზღუდვა საუარესოდ
6. საკასაციო გასაჩივრების ვადა; ვადის აღდგენა
 - საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა
 - საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა
7. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა
8. განაჩენის გამოტანა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ
9. სასჯელის შეუსაბამობა ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან
10. გადაწყვეტილებაში არსებული უზუსტობების აღმოფხვრა

1. განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა

განაჩენის დასაბუთებულობა

განჩინება

#236-აპ

7 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენით ბ. კ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 378² მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის, 5 თვისა და 26 დღის ვადით, ასევე დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 18 დღით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის, 6 თვისა და 14 დღის ვადით.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 18 სექტემბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენის მიხედვით, ბ. კ-ძეს მსჯავრი დაედო სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნების შენახვისა და სარგებლობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ნოემბრის განაჩენით ბ. კ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 მარტის განაჩენით ბ. კ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 378² მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ბ. კ-ძემ კვლავ ჩაიდინა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა და ამ საგნით უკანონოდ სარგებლობა. მან პატიმრობაში ყოფნისას გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან შეიძინა "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, შპს "მაგთიკომის" სიმბარათით, რასაც ინახავდა და რომლითაც სარგებლობდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. კ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენის შეცვლას მის სასიკეთოდ, კერძოდ, მისთვის სასჯელის შემსუბუქებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ბ. კ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. კ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენის შეცვლასა და საქმეზე ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. კ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ბ. კ-ძის ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას არ დაიცვა საპროცესო კანონმდებლობის არსებითი მოთხოვნა, კერძოდ, საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნა განაჩენის დასაბუთებულობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ მოკლე მითითებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ბ. კ-ძის ქმედებას და არავითარი მსჯელობა არ იქონია იმის თაობაზე, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები დადგინდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენითა და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შედეგად; რომელ სარწმუნო და ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებებს ეყრდნობა სასამართლოს დასკვნები ბ. კ-ძის ბრალეულობის თაობაზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განაჩენი აშკარად დაუსაბუთებელია ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული განაჩენი მოკლებულია ჯეროვან დასაბუთებას სასჯელის ნაწილშიც, ვინაიდან ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ მოკლე შენიშვნით იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, თუმცა არ მიუთითა კონკრეტულად რა გარემოებებია ნაგულისხმევი, რომლებმაც გავლენა მოახდინეს, სასჯელის ზომაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განაჩენში საერთოდ არაფერია ნათქვამი, თუ რაში გამოიხატება სააპელაციო საჩივარში აპელანტის მიერ წარმოდგენილი მოტივების უსაფუძვლობა, რის გამოც მას საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ბ. კ-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენი ვერ იქნება მიჩნეული კანონიერად, რადგან აღნიშნული განაჩენი, ცვლის რა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს, უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, რათა იგი საფუძვლად დაედოს პირის მსჯავრდებას.

საბოლოოდ საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენი ბ. კ-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საქმის ხელახალი განხილვისა და ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს სააპელაციო სასამართლომ, ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს სამართალწარმოების განხორციელება საპროცესო ნორმების მოთხოვნათა სრული დაცვით და ამ გზით მიღებული შედეგების გათვალისწინებით -კანონიერი, დასაბუთებული განაჩენის დადგენა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. კ-ძის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენი ბ. კ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის დასაბუთებულობა

განჩინება

#2140-აპ

8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ჯ. შ-ისა და ი. შ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენით:

გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის განაჩენით ლ. გ-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი.

ლ. გ-ია, -ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ლ. გ-ის მიმართ 2007 წლის 17 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ამ განაჩენით დანიშნული სასჯელი -3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეიკრიბა მთლიანად და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით ლ. გ-ის მსჯავრი დაედო მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლაში, პირადი მოტივით მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 25 ივლისს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსი გამომიებლის -ბ. შ-ის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის #8307364 საქმეზე ლ. გ-ია დაიკითხა მოწმის სახით, რომელმაც აჩვენა, რომ მისი ბიძაშვილის -ვ. გ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას (ზუსტი რიცხვი დაუდგენელია), ვ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პ. ს-ავამ მათ თითქოსდა საქმის "მოსაგვარებლად" მოსთხოვა 4000 ლარი. საბოლოოდ შეთანხმდნენ რა 3000 ლარის გადახდაზე, ლ. გ-იამ ბიძის -გ. გ-ის თანდასწრებით, აღნიშნული თანხა გადასცა ადვოკატ პ. ს-ავას. ლ. გ-იამ 2007 წლის 26 ივლისს გამომიებელ ბ. შ-ის მიერ დამატებითი დაკითხვის დროს შეცვალა 2007 წლის 25 ივლისს თავის მიერ მიცემული ჩვენება და განმარტა, რომ მას და მის ბიძას, ადვოკატ პ. ს-ავასათვის 3000 ლარი არ მიუციათ, ვინაიდან მას ამგვარი მოთხოვნა არ ჰქონია.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ლ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატები -ჯ. შ-ია და ი. შ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ლ. გ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; განაჩენი გამოტანილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენის გარეშე, ცალმხრივად, არასრულად ჩატარებული წინასწარი და სასამართლო გამოძიების საფუძველზე ქმედების არასწორი კვალიფიკაციით; განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენი ძირითადად ეყრდნობა 2007 წლის 25 ივლისს ლ. გ-ის მოწმის სახით დაკითხვის ოქმსა და 2007 წლის 26 ივლისს ლ. გ-ის მოწმის სახით დამატებითი დაკითხვის ოქმს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამომიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. სსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საქმის ის მასალები, რომლებსაც დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი მოთხოვნის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძველად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც მხარეთა მონაწილეობითა და კანონით დადგენილი წესების დაცვით იყო გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ზემოაღნიშნული ფუნდამენტური პრინციპებია დარღვეული, რაც წარმოადგენს არსებით საპროცესო დარღვევას და რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის კანონიერების თვალსაზრისით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტითა

და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი ლ. გ-ის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის დასაბუთებულობა

განჩინება

#2173-აპ

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -რ. ნ-ძისა და ზ. ზ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-შვილისა და მსჯავრდებულ რ. ლ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე ზ. ზ-ძის, რ. ნ-ძის, რ. ლ-ძისა და მ. შ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით:

1. ზ. ზ-ძე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯგუფურად, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, არაერთგზის, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე -ადამიანისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით; ასევე -ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება;

2. რ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად; ასევე -ადამიანისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა ჯგუფურად, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით;

3. რ. ნ-ძე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის

179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით;

4. მ. შ-მე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე - ადამიანისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებელსა და განსასჯელ გ. გ-შვილს შორის, რომლის თანახმად, გ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალია პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

რ. ნ-ძის, ზ. ზ-ძის, მ. შ-ძის, რ. ლ-ძისა და გ. გ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ზ. ზ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და შეინახა შემდგომში დანაშაულის ჩადენის დროს გამოსაყენებლად.

2005 წლის 23 ივნისს რ. ნ-ძემ მ. შ-ძესა და დაუდგენელ ორ პირთან ერთად თავს დაესხა ახალციხის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ი. და დ. ც-შვილების ოჯახს, მიაყენეს მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, შეუკრეს ხელ-ფეხი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, გაიტაცეს ოქროულობა, სანადირო თოფი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რითიც დაზარალებულებს სულ მიაყენეს 1500 აშშ დოლარის ზიანი.

2005 წლის 9 დეკემბერს რ. ნ-ძემ მ. შ-ძესთან, ზ. ზ-ძესა და გ. გ-შვილთან ერთად განახორციელა ყაჩაღური თავდასხმა ახალციხეში, ... ქ. #32-ში მცხოვრებ ჟ. ქ-შვილისა და გ. ბ-ძის ოჯახზე, მიაყენეს მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ჟ. ქ-შვილს შეუკრეს ხელ-ფეხი, გაცხელებული უთოს სხეულზე დადებით სთხოვდნენ ფულსა და ოქროულობას. თავდამსხმელებმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გაიტაცეს ათლარიანი მონობარათი, ათი ცალი ერთლარიანი კუპიურა და 30 ლარად ღირებული ფაიფურის 3 კბილი.

2006 წლის 4 თებერვალს, დაახლოებით 19 საათზე, მ. შ-ძემ, ზ. ზ-ძემ, რ. ლ-ძემ და გ. გ-შვილმა ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის ტერიტორიაზე გამავალ საავტომობილო გზაზე განახორციელეს ყაჩაღური თავდასხმა ნ. ლ-ძეზე, რომელსაც შეუკრეს ხელები, აუხვიეს თვალები და გასტაცეს კუთვნილი „ვაზ-2121“ მარკის ავტომანქანა „ნივა“. ბოროტმოქმედებმა ნ. ლ-ძეს 4 საათზე მეტი დროის მანძილზე აღუკვეთეს თავისუფლება და ხელეგაკრულ მდგომარეობაში 5 თებერვალს, 00.30 საათზე, მიატოვეს თბილისში, ავჭალის დასახლებაში.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. ნ-ძეს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -2 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2005 წლის 10 დეკემბრიდან; მ. შ-ძეს, ზ. ზ-ძესა და რ. ლ-ძეს მიესაჯათ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 8 თებერვლიდან. მსჯავრდებულებს -რ. ნ-ძესა და მ. შ-ძეს დაზარალებულების -ი. და დ. ც-შვილების სასარგებლოდ დაეკისრათ 1500 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო მსჯავრდებულებს -რ. ნ-ძეს, მ. შ-ძეს, ზ. ზ-ძესა და გ. გ-შვილს დაზარალებულ ჟ. ქ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 5050 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების -რ. ნ-ძის, ზ. ზ-ძისა და მ. შ-ძის ადვოკატებმა -თ. მ-შვილმა და ქ. ბ-ურმა, ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ვ. ტ-ძემ და მსჯავრდებულმა რ. ლ-ძემ.

ადვოკატებმა -თ. მ-შვილმა და ქ. ბ-ურმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულთა გამართლება.

პროკურორმა ვ. ტ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება, მსჯავრდებულთა დამნაშავედ ცნობა საბრალდებო დასკვნით წარდგენილი მუხლებით და ზ. ზ-ძისათვის -19 წლითა და 6 თვით, მ. შ-ძისათვის -19 წლით, რ. ნ-ძისათვის -25 წლით, ხოლო რ. ლ-ძისათვის -14 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

მსჯავრდებულმა რ. ლ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენით პროკურორისა და მსჯავრდებულ რ. ლ-ძის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა,

ხოლო ადვოკატების -თ. მ-შვილისა და ქ. ბ-ურის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ზ. ზ-მე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში; მას საბოლოოდ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებითა და ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მისეაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; მ. შ-მე გამართლდა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებითა და ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან; გაუქმდა განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილშიც; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -ადვოკატი თ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

აღნიშნული განაჩენი გამოტანილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გარეშე; საქმის განხილვისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რადგან განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; რ. ნ-ძის შარვლის ქსოვილის ბოჭკოები არ აღმოჩნდა ჟ. ქ-შვილისა და გ. ბ-ძის ფრჩხილების შიგთავსში, იატაკის საწმენდ ჯოხზე, ასევე არ აღმოჩნდა მისი სისხლი დაზარალებულების ტანსაცმელზე და -პირიქით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რ. ნ-ძეს აღნიშნულ ეპიზოდში მონაწილეობა არ მიუღია; დამაჯერებლობასაა მოკლებული გ. ბ-ძის ბინაში რ. ნ-ძის თითის ანაბეჭდების აღმოჩენა; დაზარალებულ ჟ. ქ-შვილის ბინის დათვალიერებისას არ მომხდარა შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება, ასეთ ვითარებაში კი ხელის თითის კვლების აღმოჩენა და დამუშავება საეჭვოა, მით უფრო, რომ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა ანაბეჭდის აღებიდან ერთ დღეშია შესრულებული.

ადვოკატ თ. მ-შვილის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, რადგან დათვალიერება ჩაატარა არაუფლებამოსილმა პირმა; სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ უარყო დაცვის შუამდგომლობა ზ. ზ-ძის ავტომანქანის დათვალიერების ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, რადგან ავტომანქანის დათვალიერება ჩატარდა სსსკ-ის 278-ე მუხლის უხეში დარღვევით; როდესაც არ არსებობს პროკურორის დავალება, გამომძიებელ ზ. ჩ-ძეს არ ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო საგამომძიებო მოქმედებებში; გარდა ამისა, მანქანის დათვალიერებისას ზ. ზ-ძეს არ მისცეს უფლება, მიეწვია ორი დამსწრე, მეტიც, დათვალიერებას არ დაასწრეს თავად ზ. ზ-ძე და მისი მეუღლე მ. ხ-ძე; ოქმს არ ერთვის ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, ამიტომ ნ. ლ-ძის ავტომანქანიდან ზ. ზ-ძის ხელის თითების ანაბეჭდების ამოღებისას დარღვეულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები; აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, საქმეში კი არ არსებობს ოქმი ხსენებული ფოტომასალის გაუვარგისების ან განადგურების შესახებ; ნ. ლ-ძის მანქანის დათვალიერებისას ამოღებული კალკულატორი გამოძიებას ნივთმტკიცებად არ უცვნია, ექსპერტიზაზე არ გაუგზავნია, საქმეში არ დევს და არც დაზარალებულისათვის დაუბრუნებიათ; აქედან გამომდინარე, სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, ასეთ საეჭვო გარემოებათა არსებობისას თავისი განაჩენი დაემყარებინა უხეში პროცესუალური დარღვევით მოპოვებულ ოქმებსა და ექსპერტიზის დასკვნებზე; ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყვეტილიყო მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი თ. მ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და რ. ნ-ძისა და ზ. ზ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

მსჯავრდებული რ. ლ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება ნ. ლ-ძის ეპიზოდში მისი ბრალეულობის დასადასტურებლად; დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის თანახმად, ნ. ლ-ძის მანქანიდან ამოღებული თითის კვლები არ მიეკუთვნება რ. ლ-ძეს; გაუგებარია, რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ცნო სასამართლომ ის დამნაშავედ; ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყვეტილიყო რ. ლ-ძის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული რ. ლ-ძე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენი, სხვა მასალებთან ერთად, ეყრდნობა საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს: დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებს, დათვალიერების ოქმს, სასამართლო-ბიოლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების სხდომებზე საქმეში არსებული არცერთი აღნიშნული მტკიცებულება არ წაკითხულა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. სსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

როგორც აღინიშნა, საქმის ის მასალები, რასაც დაეყრდნო სააპელაციო პალატა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე არ განხილულა. ამასთან, მხარეთა მონაწილეობით არ გარკვეულა ამ წერილობითი მტკიცებულებების მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის საკითხი.

სსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაიშვება მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი საქმისათვის ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად.

კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც გამოაქვეყნოს და მხარეთა მონაწილეობით გამოიკვლიოს საქმეში არსებული ის წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გამოკვლეულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის უნდა გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა აღნიშნული, არსებითი დარღვევის გამო, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საჩივრებში მითითებულ მოტივებზე.

სსკ-ის 561-ე მუხლის შესაბამისად, პალატა არ არის უფლებამოსილი, გასაჩივრებული განაჩენი უცვლელად დატოვოს მ. შ-ძის გამართლების ნაწილში. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებაც, რომ განაჩენი საკასაციო წესით ბრალდების მხარის წარმომადგენელს არ გაუსაჩივრებია.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენი რ. ლ-ძის, მ. შ-ძის, რ. ნ-ძისა და ზ. ზ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის სამართლიანობა

განჩინება

#1591-აპ

24 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -შ. დ-შვილისა და ი. დ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენზე შ. დ-შვილის, ი. დ-შვილისა და ს. ქ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. შ. დ-შვილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლ-

საწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, არაერთგზის, ჯგუფურად; ასევე -ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე -დოკუმენტისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცება;

2. ი. დ-შვილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, არაერთგზის, ჯგუფურად; ასევე -დოკუმენტისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცება;

3. ს. ქ-შვილი საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის ივლისში შ. დ-შვილი დაუკავშირდა ი. დ-შვილს და დაუდგენელ პირებს. მათ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე განიზრახეს, მოეხდინათ ყაჩაღური თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. 2005 წლის 17 ივლისს, დაახლოებით 21 საათზე, ი. დ-შვილი მივიდა ქ. თბილისში, მეტროს სადგურ „დიდუბის“ გასასვლელთან, სადაც მძღოლი თ. ზ-ევი თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა „ფორდ-ესკორტი“ ელოდებოდა მგზავრებს. ი. დ-შვილი მივიდა მასთან და სთხოვა გორში წაყვანა. ისინი შეთანხმდნენ თანხაზე. ი. დ-შვილმა მძღოლს იქვე გადაუხადა 30 ლარი, ხოლო გორში ჩასვლის შემდეგ კიდევ უნდა გადაეხადა 10 ლარი. მისი მითითებით, დაახლოებით 23 საათზე ისინი მივიდნენ გორის რაიონის სოფელ . . . , სადაც, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ი. დ-შვილმა თ. ზ-ევს გააჩერებინა მანქანა, გადავიდა, ხოლო მისმა თანამზრახველებმა მძღოლის მხარეს გააღეს ავტომანქანის კარი, იგი მუქარითა და ძალადობით გადმოათრიეს და უბრძანეს, არ ეყვირა, თორემ მოკლავდნენ, შეუკრეს ხელ-ფეხი, წაართვეს ფული - 15 ლარი, 100 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი, პირადობის მოწმობა, ავტომანქანის მართვის მოწმობა, მანქანის პასპორტი და მანქანა, ღირებული 5000 ლარად, რომელიც დაშალეს მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

2005 წლის 26 ივლისს, დაახლოებით 17 საათზე, შ. დ-შვილი ავტომანქანა „ვაზ-2106-ით“, რომელსაც თვითონ მართავდა, იმყოფებოდა გორის რაიონის სოფელ . . . , სადაც გ. ბ-ევი ყიდა გოჭებს თავისი კუთვნილი ავტომანქანა „გაზელის“ ძარადას. შ. დ-შვილი მივიდა მასთან და სთხოვა, მიეყიდა მისთვის სამი გოჭი 100 აშშ დოლარად, რაზეც გ. ბ-ევმა უარით უპასუხა. შ. დ-შვილმა თავისთან მყოფ ს. ქ-შვილს უთხრა, რომ ასულიყო მანქანის ძარაზე და აერჩია გოჭები. ს. ქ-შვილმა აარჩია გოჭები და ჩასვა შ. დ-შვილის ავტომანქანის საბარგულში. შ. დ-შვილი ამ დროს აგრძელებდა საუბარს გ. ბ-ევთან, რომელსაც სთხოვა, რომ თავად შეერჩია და ჩამოეყვანა მისთვის მესამე გოჭი. როდესაც გ. ბ-ევი ავიდა ძარაზე, შ. დ-შვილი და ს. ქ-შვილი ჩასხდნენ მანქანაში და აშკარად გაიტაცეს ორი გოჭი, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენეს 220 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2005 წლის 2 აგვისტოს, დაახლოებით 22 საათზე, წინასწარი შეთანხმებისამებრ, შ. დ-შვილი მივიდა თბილისში, დიდუბის ავტოსადგურის ტერიტორიაზე არსებულ ტაქსების სადგომზე, სადაც ნახა „მერსედეს-ბენც ე-220“, რომელსაც მართავდა ი. მ-ოვი. შ. დ-შვილი მას მოურიგდა 40 ლარად გორის რაიონის სოფელ . . . წაყვანაზე. აღნიშნულის შემდეგ ის მობილური ტელეფონით დაუკავშირდა თავის თანამზრახველებს ავტომანქანის ნახვისა და ჩაყვანის შესახებ, რათა ისინი დახვედროდნენ შეთანხმებულ ადგილას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად შ. დ-შვილმა დაახლოებით 23 საათზე ი. მ-ოვი მანქანით მიიყვანა სოფელ . . . და მანქანა გააჩერებინა თანამზრახველებთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე. ავტომანქანის გაჩერებისთანავე მან გააღო კარი და დაიძახა -„მამა, სად ხარო“; დაძახებისთანავე მანქანასთან მივიდნენ მისი თანამზრახველები -ორი ნიღბიანი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი. მათ ძალადობითა და ასეთის გამოყენების მუქარით ი. მ-ოვი გადაიყვანეს ავტომანქანიდან, შეუკრეს ხელ-ფეხი და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს მისი ავტომობილი, ღირებული 22 ათას ლარად, 80 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი, 200 ლარად ღირებული მაჯის საათი, ფული 70 ლარის ოდენობით, შავი კანაფის ავგაროზი ღირებულების გარეშე, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და ი. მ-ოვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2004 წლის 18 სექტემბერს ი. დ-შვილი დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ ოთხ პირს და განიზრახეს, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოეხდინათ ჯგუფური ყაჩაღური თავდასხმა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი მივიდნენ გორის რაიონის სოფელ . . . მცხ. თ. გ-ურის საცხოვრებელ ბინაში. ორი პირი დარჩა ეზოში, ხოლო დანარჩენი სამი მივიდა ბინის კართან და დაიწყეს ფეხით მისი შემტვრევა. ხმაურზე გაეღვიძა მ. გ-ურს და დაუძახა დედას, რომ ყაჩაღურად თავს დაესხნენ. ბოროტმოქმედებმა შეამტვრიეს კარი და შევიდნენ ბინაში. ერთ-ერთმა ნიღბიანმა ორლულიანი გადაჭრილი თოფის ტარი ჩაარტყა თავში მ. გ-ურს და უთხრა, რომ ჩუმად ყოფილიყო, თან დაერყნო მისი შვილის საწოლს. საწოლი ჩამიტვრა და ყაჩაღი ძირს

დავარდა. მ. გ-ურმა დრო იხელთა და მაგიდაზე დადებული თევში მას თავში ჩაარტყა. ამავე დროს მან დაინახა ოთახის შესასვლელ კართან დაჩოქილი მამამისი -თ. გ-ური, რომელსაც თავზე ედგა სახეზე ნიღაბჩამოფარებული, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი, რომელმაც თ. გ-ურს თავში ჩაარტყა იარაღის ტარი. ამით აღელვებულმა მ. გ-ურმა ხელში აიღო კედელზე მიყუდებული სარკე და ჩაარტყა ბოროტმოქმედს, რომელსაც სახიდან სისხლი წამოუვიდა და გარეთ გავიდა. მას უკან გაჰყვა მეორე თავდამსხმელიც, რომელსაც დაედევნა თ. გ-ური და უკნიდან ხელით დაიჭირა. ამ დროს მასთან მივიდა ვ. გ-ური და სახიდან ნიღაბი ჩამოხსნა, ხოლო მ. გ-ურმა აიღო იატაკის საწმენდი ჯოხი და ორჯერ ჩაარტყა თავში ბოროტმოქმედს. ამ დროს ეზოს კართან მდგარმა მესამე პირმა სამჯერ გაისროლა ჰაერში და ოჯახის წევრებს უთხრა, ხელი გაეშვათ მისი თანამზრახველებისათვის. თ. გ-ურმა შეასრულა მისი მოთხოვნა და ერთ-ერთს ხელი გაუშვა, რომელიც გაიქცა ეზოს კარისაკენ, შემდეგ შეტრიალდა და გადაჭრილი ორლულიანი თოფი დაუმიწნა მ. გ-ურს, თუმცა არ უსვრია. ამავე დროს მ. გ-ური მივიდა კართან მდგარ ერთ-ერთ თავდასხმელთან და სახიდან ნიღაბი ჩამოგლიჯა. ამის შემდეგ ბოროტმოქმედები მიიმალნენ.

2005 წლის 11 დეკემბერს, დაახლოებით 12 საათზე, ი. დ-შვილი მივიდა თბილისში, რკინიგზის სადგურთან არსებულ „ოქროს ბირჟასთან“, სადაც გაჩერებული იყო გ. ა-ევი თავისი ავტომანქანა „ვაზ-2107-ით“ და ელოდებოდა მგზავრებს. ი. დ-შვილმა მას სთხოვა გორის რაიონის სოფელ ... წაყვანა. ისინი შეთანხმდნენ, რომ მგზავრი ტაქსის მძღოლს თბილისში გადაუხდიდა 20 ლარს, ხოლო ადგილზე ჩასვლის შემდეგ -40 ლარს და წავიდნენ სოფელ ... როდესაც მივიდნენ სოფელთან, ი. დ-შვილმა მინდვრის განაპირას გააჩერებინა მძღოლს მანქანა, გადავიდა და მინდორში მომუშავე ხალხს ჰკითხა, ხომ არ შეუნიშნავთ ორი ახალგაზრდა, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. შემდეგ ისე ჩაჯდა მანქანაში, მძღოლს უთხრა, რომ ასცდა თავის მეგობრებს და ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ. გ. ა-ევმა მოაბრუნა ავტომანქანა და წავიდნენ უკან. დაახლოებით 500 მეტრი მანძილის გავლის შემდეგ, სავალი გზის დეფექტის გამო, მან შეანელა მოძრაობა, ამ დროს ბუჩქებიდან მოულოდნელად გამოხტა სახეზე ნიღაბჩამოფარებული და ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული, ძიებით დაუდგენელი ორი პირი, რომლებიც წინ გადაუდგნენ მანქანას. იმავდროულად ი. დ-შვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარით მოსთხოვა გ. ა-ევს მანქანიდან გადასვლა. ის ძალით გადაიყვანეს, გაჩხრიკეს და ჯიბიდან ამოცალეს მანქანის საბუთები, ფული -24 ლარი და მობილური ტელეფონი. მძღოლი იქვე დატოვეს, ხოლო ბოროტმოქმედები ჩასხდნენ ავტომანქანაში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2005 წლის 28 დეკემბერს ი. დ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ ორ პირს. მათ განიზრახეს ჯგუფური ყაჩაღობის ჩადენა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს, დაახლოებით 11 საათზე, ი. დ-შვილი მივიდა ქ. გორში, მდინარე ლიხვის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სატვირთო ავტომანქანების სადგომზე, სადაც ნახა ავტომანქანა „კამაზი-5511“, რომლის მძღოლს ი. გ-შვილს უთხრა, რომ გორის რაიონის სოფელ ... მეფრინველეობის ფაბრიკის სიახლოვეს შეგროვილი ჰქონდა ჯართი და უნდოდა მისი გორში ჩატანა, რაშიც გადაუხდიდა მას გარკვეულ თანხას. ი. გ-შვილი თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით გაჰყვა ი. დ-შვილს ჯართის ჩამოსატანად. დაახლოებით 12 საათზე ისინი მივიდნენ სოფ. ... მეფრინველეობის ფაბრიკის სიახლოვეს მდებარე, მიტოვებულ ერთსართულიან შენობასთან. ი. დ-შვილმა მძღოლს გააჩერებინა მანქანა, რა დროსაც შენობიდან გამოვიდა სახეზე ნიღაბჩამოფარებული, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ძიებით დაუდგენელი ორი პირი, რომლებმაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მანქანიდან გადაიყვანეს ი. გ-შვილი და შეიყვანეს შენობაში, სადაც ე.წ. „სკოპით“ აუხვიეს პირი, შეუკრეს ხელები, დააგდეს იქვე, ოთახში და გაიტაცეს 12000 ლარად ღირებული მანქანა „კამაზი-5511“, 120 ლარი, 50 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გორის შს რაიონული სამმართველოს #1 განყოფილების თანამშრომლებმა ყაჩაღური გზით გატაცებული ზემოაღნიშნული ავტომანქანა მიტოვებული ნახეს ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ ღრომში.

2006 წლის 4 მარტს, დაახლოებით 12 საათზე, ი. დ-შვილი ძიებით დაუდგენელ პირთან ერთად მივიდა გორში, საკოლმეურნეო ბაზრის წინ მდებარე ტაქსების სადგომზე, სადაც მძღოლი გ. ს-შვილი თავისი ავტომანქანა „ბმვ-525-ით“ ელოდებოდა მგზავრებს. ისინი მივიდნენ მძღოლთან და სთხოვეს გორის რაიონის სოფელ კარალეთში წაყვანა, შეთანხმდნენ თანხის გადახდაზე და წავიდნენ სოფლის მიმართულებით. როდესაც მივიდნენ ე.წ. „შოთას წყაროსთან“, ბოროტმოქმედებმა მძღოლს მარჯვნივ გადაახვევინეს მანქანა და განაგრძეს გზა. დაახლოებით 1 კმ მანძილის გავლის შემდეგ გ. ს-შვილს გააჩერებინეს ავტომანქანა და მოსთხოვეს გადასვლა. მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გადაიყვანეს იგი მანქანიდან, უბრძანეს, მათკენ ზურგიან შებრუნებულიყო და გაქცეულიყო, რის შემდეგაც გაიტაცეს ავტომანქანა და მიიმალნენ.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გორის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ზემოაღნიშნული ავტომანქანა მიტოვებული ნახეს ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ ანდორეთში.

აღნიშნული ქმედებისათვის შ. დ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10 ათასი ლარის ოდენობით, ი. დ-შვილს -12 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10 ათასი ლარის ოდენობით, ს. ქ-შვილს -3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით. შ. დ-შვილს სასჯელის ათვლა დაეწყო 2005 წლის 9 აგვისტოდან, ი. დ-შვილს - 2006 წლის 11 მაისიდან, ხოლო ს. ქ-შვილს -2005 წლის 5 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების -შ. დ-შვილისა და ს. ქ-შვილის ადვოკატებმა -გ. ჯ-შვილმა და მ. ც-მემ. მათ ითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა:

შ. დ-შვილისა და ი. დ-შვილის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის „ბ“ ქვეპუნქტზე; შ. დ-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10 ათასი ლარის ოდენობით; ს. ქ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა წინასწარ გამოძიებაში დაკავების დრო -2005 წლის 5 სექტემბრიდან 2005 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით და სასჯელის ათვლა დაეწყო 2005 წლის 16 სექტემბრიდან. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა -შ. დ-შვილმა და ი. დ-შვილმა.

მსჯავრდებული შ. დ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი არაობიექტური და უსამართლოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

შ. დ-შვილი აღიარებს თავის მიერ სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ეპიზოდს; რაც შეეხება ყაჩაღობებს, მას არ ჩაუდენია და აქვს ალიბი, უდანაშაულოა ყაჩაღობაში და ტყუილად აქვს მისჯილი 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც ითხოვს განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად ან ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას, ასევე -ჯარიმის მოხსნას ან შემცირებას.

მსჯავრდებული ი. დ-შვილი საკასაციო საჩივრით აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, აღნიშნავს, რომ არ ჰყავს დედა; გაზარდა ბებიათ; სასამართლო არ არის; უკიდურესად გაჭირვებულია, რის გამოც ითხოვს სასჯელის შემსუბუქებასა და ჯარიმის მოხსნას, რადგან ვერ შეძლებს მის გადახდას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის განაჩენი, სხვა მასალებთან ერთად, ეყრდნობა საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს: დაზარალებულების -ი. გ-შვილისა და გ. ა-ევის ჩვენებებს, პიროვნების ამოცნობის ოქმებს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების სხდომებზე საქმეში არსებული არც ერთი აღნიშნული მტკიცებულება არ წაკითხულა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. სსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

როგორც აღინიშნა, საქმის ის მასალები, რასაც დაეყრდნო სააპელაციო პალატა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას და რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე არ განხილულა. ამასთან, მხარეთა მონაწილეობით არ გარკვეულა ამ წერილობითი მტკიცებულებების მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის საკითხი.

სსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაიშვება მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი საქმისათვის ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად.

კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც გამოაქვეყნოს და მხარეთა მონაწილეობით გამოიკვილოს საქმეში არსებული ის წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გამოკვლეულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი არ პასუხობს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, იგი დაუსაბუთებელია, უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის უნდა გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა

გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა აღნიშნული, არსებითი დარღვევის გამო, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საჩივრებში მითითებულ მოტივებზე.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განაჩენი შ. დ-შვილის, ი. დ-შვილისა და ს. ქ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის დასაბუთებულობა

განჩინება

#794-აპ

12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 ივნისის განაჩენით:

საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორ დ. მ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა პროკურორსა და მ. უ-შვილს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

მ. უ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 59-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე დადგენილ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელი -3 წელი და საბოლოოდ მ. უ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 20 ნოემბრიდან.

მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა -5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 20 ნოემბრიდან.

მ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით -10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. კ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 20 ნოემბრიდან.

მსჯავრდებულებს -მ. უ-შვილსა და მ. კ-ძეს, საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 107-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელის მოხდის პარალელურად სასჯელადსრულებების დაწესებულების პირობებში დაენიშნათ იძულებითი მკურნალობა ნარკომანიისაგან განკურნების მიზნით.

ნივთმტკიცება: მ. უ-შვილის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ორი აბი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას "ბუპრენორფინს", წონით 0,0149 გრამს (ინახება შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ საცავში), საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების

შემდეგ უნდა განადგურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით; მ. ლ-ძის პირადი და ბინის ჩხრევის შედეგად ამოღებული ორი აბი და აბის ორი ნატეხი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას "ბუპრენორფინს", წონით 0,036 გრამს (ინახება შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ საცავში). საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით; მ. კ-ძის ბინის ჩხრევის შედეგად ამოღებული ორი აბი და ორი აბის ნატეხი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას "ბუპრენორფინს", წონით -0,024 გრამს (ინახება შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ საცავში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. კ-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას ავტომანქანა "ალფა რომეო".

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. ლ-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას ავტომანქანა "მერსედეს ბენცი".

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების -მ. ლ-ძის, მ. კ-ძისა და მ. უ-შვილის ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს მოქალაქემ, ქ. თბილისში, ... ქუჩის #4-ში მცხოვრებმა მ. უ-შვილმა 2006 წლის 20 ნოემბერს მ. ლ-ძისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის“ 2 აბი.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2006 წლის 20 ნოემბერს, 15 საათზე, თბილისში, ... ქ. #52-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მ. უ-შვილი დააკავეს, რომელსაც კანონით დადგენილი წესით პირადი ჩხრევა ადგილზევე ჩაუტარდა, რის შედეგადაც მისგან პრეპარატ „სუბოტექსის“ ორი აბი იქნა ამოღებული, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობით -0,0149 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“.

საქართველოს მოქალაქემ, ქ. თბილისში, ... ქ. #52-ში მცხოვრებმა მ. ლ-ძემ 2006 წლის 19 ნოემბერს, ქ. თბილისში, ... ქუჩის #2-ში, ბინა #15-ში მცხოვრებ მ. კ-ძისაგან გასაღების მიზნით პრეპარატ „სუბოტექსის“ აბები 350 აშშ დოლარად უკანონოდ შეიძინა და შეინახა. იგი შეიცავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას ბუპრენორფინს, წონით 0,0509 გრამს. 2006 წლის 20 ნოემბერს მ. ლ-ძემ ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მცხოვრებ მ. უ-შვილზე პრეპარატ „სუბოტექსის“ ორი აბი უკანონოდ გაასაღა, იგი შეიცავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“, წონით 0,0149 გრამს. ნარკოტიკული საშუალების დარჩენილი ნაწილი კი მან ასევე უკანონოდ შეინახა. გატარებული ღონისძიებების შედეგად 2006 წლის 20 ნოემბერს, 16.50 საათზე, თავის საცხოვრებელ ბინაში -ქ. თბილისში, ... ქ. #52-ში, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს მ. ლ-ძე, რომელსაც კანონით დადგენილი წესით პირადი ჩხრევა ადგილზევე ჩაუტარდა, რის შედეგადაც მისგან პრეპარატ „სუბოტექსის“ ერთი აბი იქნა ამოღებული, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“, წონით 0,008 გრამს. აღნიშნულის შემდეგ გაჩხრიკეს მისი საცხოვრებელი ბინა, რა დროსაც მისი საძინებელი ოთახიდან პრეპარატ „სუბოტექსის“ ორი აბი და აბის ორი ნატეხი იქნა ამოღებული, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“, წონით 0,028 გრამს. საერთო ჯამში მ. ლ-ძისაგან ამოღებულ იქნა მის მიერ მ. კ-ძისაგან უკანონოდ შეძენილი, შენახულ და გასაღებული პრეპარატ „სუბოტექსის“ აბები და აბის ნატეხები, რომლებიც შეიცავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“, წონით 0,0509 გრამს.

2006 წლის 9 სექტემბერს საქართველოს მოქალაქემ, ქ. თბილისში, ... ქუჩის #2, ბინა #15-ში მცხოვრები მ. კ-ძე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული წესით 500 ლარით დააჯარიმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი გამოსწორების გზას არ დაადგა და კვლავ ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რის გამოც 2006 წლის 28 სექტემბერს იგი თბილისის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და შემდგომ შემოწმებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ნარკოტიკულ განყოფილებაში, სადაც 2006 წლის 21 ნოემბრის #473 გამოკვლევის დასკვნით მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ მიღების ფაქტი.

მ. კ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა პრეპარატ „სუბოტექსის“ აბები და აბის ნატეხები, რომლებიც შეიცავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“, წონით 0,0749 გრამს. 2006 წლის 19 დეკემბერს მ. კ-ძემ თავის საცხოვრებელ ბინაში მ. ლ-ძეზე პრეპარატ „სუბოტექსის“ აბები და აბის ნატეხები 350 აშშ დოლარად უკანონოდ გაასაღა. იგი შეიცავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“, წონით 0,0509 გრამს. ნარკოტიკული საშუალების დარჩენილი ნაწილი კი მან თავის საცხოვრებელ ბინაში ასევე უკანონოდ შეინახა.

ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 2006 წლის 20 ნოემბერს, 21 საათსა და 10 წუთზე, თავის საცხოვრებელ ბინაში -... ქუჩის #2, ბინა #15-ში შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს მ. კ-ძე, რის შემდეგაც მისი საცხოვრებელი ბინა გაიჩხრიკა, რა დროსაც, მისი საძინებელი ოთახიდან პრეპარატ „სუბოტექსის“ ორი აბი და აბის ორი ნატეხი იქნა ამოღებული, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“, წონით -0,024 გრამს.

საერთო ჯამში მ. კ-ძისაგან ამოღებულ იქნა მის მიერ, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეძენილი, შენახული და მ. ლ-ძეზე უკანონოდ გასაღებული პრეპარატ „სუბოტექსის“ აბები და აბის ნატეხები, რომლებიც შეიცავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინს“, წონით 0,0749 გრამს.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დამტკიცდა სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებელსა და მსჯავრდებულ მ. ლ-ძეს შორის.

მ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 3 წელი და 6 თვე უნდა მოიხადოს თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენი 1 წელი და 6 თვე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

მასვე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. ლ-ძეს უნდა ჩამოერთვას მის მფლობელობაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება.

მსჯავრდებულ მ. კ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ბ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ნაწილში -მ. კ-ძის გამართლებას და სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების -თ. მ-შვილის, ლ. კ-ანის ჩვენებებით, ქიმიური და ნარკოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ბინის ჩხრევის ოქმით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ მ. კ-ძის მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. კ-ძის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ:

1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მ. ლ-ძემ აჩვენა, რომ არის მ. კ-ძის ახლო მეგობარი. მან ნარკოტიკული ნივთიერება მ. კ-ძესთან ერთად შეიძინა ვინმე „დ-სგან“, რომელიც ამჟამად პატიმარია. მ. კ-ძეს მისთვის ნარკოტიკი არ მიუყვია. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კი მ. ლ-ძემ შეცვალა ჩვენება და დაეთანხმა წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას იმის თაობაზე, რომ მან ნარკოტიკული ნივთიერება შეიძინა მ. კ-ძისაგან.

ამდენად, განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ მ. ლ-ძის მიერ მიცემულ არათანმიმდევრულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს, სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მსჯავრდებულ მ. ლ-ძის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ მ. ლ-ძის ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. კ-ძეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება. მ. კ-ძეს, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, რომ იგი პირველად და სამართალში, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, უნდა შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

განაჩენიდან მსჯავრდებულ მ. კ-ძეს ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ მ. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი -10 წლით თავისუფლების აღკვეთა -შეუმცირდეს და მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის დასაბუთებულობა

განჩინება

#578-აპ

5 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ი. ტყემელაშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენით ჯ. ძ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯ. ძ-ძე გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

განაჩენის მიხედვით, ჯ. ძ-ძეს მსჯავრი დაედო თვითნებობისათვის, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, რაც გამოიხატა შემდეგში: ქ. რუსთავში, ... ქუჩის #9/6-ში მცხოვრები, 1963 წელს დაბადებული მ. ა-ძე იყო ინდუსტრიული "მ. ა-ძის" დამფუძნებელი და მფლობელი. ქ. რუსთავში, ... ქ. #10-ში განთავსებულ მონაკვეთში, მას საკუთრებაში გააჩნდა 7 კვ.მ. ფართობი, სადაც იგი, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, 1999 წლიდან ეწეოდა ცეცხლსასროლი და გლუვკულიანი იარაღით, საბრძოლო მასალითა და სამონადირეო ინვენტარით ვაჭრობას. ამავე მაღაზიაში 2005 წლის მარტში 85 კვ.მ. ფართობი შეიძინა ჯ. ძ-ძემ, რომელმაც, მ. ა-ძესთან ერთად სიტყვიერი შეთანხმებით, აღნიშნულ მაღაზიაში დაიწყო ზემონახსენები ინვენტარის შემოტანა და ვაჭრობა, რასაც ახორციელებდა მ. ა-ძის ლიცენზიის საფუძველზე. 2006 წლის სექტემბერში მ. ა-ძესა და ჯ. ძ-ძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რის შემდეგაც მ. ა-ძე იძულებული გახდა, დაეტოვებინა მაღაზია, ხოლო მისი საბრძოლო და სამონადირეო ინვენტარი შესანახად დატოვა მაღაზიაში, რომლის მოვლისა და არგასხვისების ვალდებულება თავის თავზე აიღო ჯ. ძ-ძემ. მიუხედავად აღნიშნულისა, მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და მ. ა-ძეზე განაწყენებულმა განიზრახა ამ ქონების თვითნებურად განადგურება. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან 2007 წლის მაისში თვითნებურად, მ. ა-ძისათვის შეუტყობინებლად, ე.წ. "ბარგალკის" მეშვეობით განზრახ განადგურა და შემდეგ მდინარე მტკვარში გადაყარა მისთვის მიბარებული, თავისივე ფულით შეძენილი და მ. ა-ძის სახელზე რეგისტრირებული, სულ 10 987 ლარად და 20 თეთრად ღირებული იარაღები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. ძ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ჯ. ძ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მის ქმედებაში არ არსებობს თვითნებობის ობიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ, აღნიშნული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ისეთი სავალდებულო ნიშანი, როგორცაა მნიშვნელოვანი ზიანი,

რადგან მის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად ზიანი მიადგა თვითონ მას და არა -სხვა პირს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, რადგან მასში არ არის მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური ანალიზი, ამასთან, სასამართლო თავის განაჩენში ჯ. ძ-ძის ბრალდების საფუძვლად უთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა შესახებ კონკრეტულად არც საბრალდებო დასკვნაშია მითითებული და არც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, რომელიც უცვლელად იქნა დატოვებული. მიუხედავად იმისა, რომ დამდგარი ზიანის დასაბუთების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი აშკარად წინააღმდეგობრივია, ეს საკითხი სააპელაციო სასამართლომ არ გაარკვია. მხედველობაში შემდეგი გარემოება: საბრალდებო დასკვნით, ჯ. ძ-ძის ქმედებით დამდგარი ზიანი განისაზღვრა 10987,20 ლარით, თუმცა არ არის განსაზღვრული, ვის მიადგა ეს ზიანი -საქმეზე დაზარალებულად ცნობილ მ. ა-ძეს, სახელმწიფოს, თუ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. პირველი ინსტანციის სასამართლო კი თავისი განაჩენით დადგენილად მიიჩნევს, რომ ჯ. ძ-ძის ქმედებით მ. ა-ძეს მიადგა 37987 ლარის ზიანი, მაშინ, როდესაც საქმეში სამისოდ არავითარი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. მართალია, სააპელაციო სასამართლომ თავისი განაჩენით მსჯავრდებულის ქმედებით გამოწვეული ზიანი ისევ 10 987,20 ლარად შეაფასა, ანუ განადგურებული საქონლის ღირებულებით, მაგრამ ამავე დროს მიუთითა: იმის გათვალისწინებით, რომ განადგურებული იარაღი მალაჩიაში შეტანილი იყო რეალიზაციის მიზნით, რეალიზაცია კი ხდებოდა მ. ა-ძის, როგორც ლიცენზიატის, სახელით და იგი იყო ანგარიშვალდებული სახელმწიფოს წინაშე, ხოლო საქონლის რეალიზაციის შემდეგ მოხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის ქმედების გამო საქონლის რეალიზაცია აღარ მოხდა, ვინაიდან იგი მთლიანად განადგურდა, რამაც თავისთავად მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

წარმოდგენილი მოტივაციით სააპელაციო სასამართლომ ბრალდება დააფუძნა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც არ ყოფილა გამოკვლეული და დადგენილი არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და არც სააპელაციო სასამართლოში, რითაც გასცდა საბრალდებო დასკვნით განსაზღვრული ბრალის ფარგლებს. ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებაც: საქმეზე წინასწარი გამოძიების სტადიაზე, თავდაპირველად, ჯ. ძ-ძის ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც მას ბრალი ედებოდა სხვისი მოძრავი ნივთის განადგურებაში. შემდეგ ბრალდების მხარემ შეცვალა აღნიშნული კვალიფიკაცია და ჯ. ძ-ძის ქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ე.ი. თვით ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ ჯ. ძ-ძეს თავისი ქმედებით სხვისი ქონება არ გაუნადგურებია. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ განადგურებული საქონლის ღირებულების დაანგარიშებით გამოთვლილი ზიანი -10 987,20 ლარი -სხვას ვერ მიადგებოდა, ხოლო ამ მოსაზრებას განამტკიცებს საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზი.

ამრიგად, იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლით, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილითა და 496-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, გამოურკვეველი და დაუდგენელი დარჩა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: ჯ. ძ-ძის ქმედებამ გამოიწვია თუ არა რაიმე ზიანი; თუკი ასეთი ზიანი არსებობს, რაში გამოიხატება იგი, რა მოცულობის ან რა ზომისაა ეს ზიანი და არის თუ არა იგი მნიშვნელოვანი; ვის მიადგა ეს ზიანი -საქმეზე დაზარალებულად ცნობილ მ. ა-ძეს, სახელმწიფოს, თუ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რის გამოც შეუძლებელი გახდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჯ. ძ-ძის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულმა დარღვევებმა, რომლებიც დაშვებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, მისი კანონიერებისა და დასაბუთებულობის თვალსაზრისით, რაც, საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველია. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენი ჯ. ძ-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარდეს სრული სასამართლო გამოძიება, რომლის გარეშე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენა ვერ მოხერხდება, რა დროსაც უნდა მოხდეს მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევა საქართველოს სსსკ-ის 533-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობის გამოყენებით, ხოლო ამ გზით მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებებისა და ობიექტურად დადგენილი

ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის ქმედებას, მისი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თვალსაზრისით. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი მოცემულ საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენი ჯ. ძ-ძის მსჯავრდების თაობაზე გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საქმის განხილვა განსასჯელის დაუსწრებლად

განჩინება

#1091-აპ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. გოგიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ს-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის განაჩენით თ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა, რამაც გამოიწვია მისი სიცოცხლის მოსპობა და რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 22 სექტემბერს, 5 საათზე, შპს „მცხეთის სამხარეო მრავალპროფილიანი საავადმყოფოს“ თერაპიული განყოფილების მიმღებში მუცლის არეში ტკივილებით, სასწრაფო დახმარების ავტომატურად მიიყვანეს ქ. მცხეთაში მცხოვრები, 1970 წელს დაბადებული გ. მ-შვილი. 5.⁴⁰ საათზე თერაპიული განყოფილების მიმღებიდან ავადმყოფი გადაიყვანეს გინეკოლოგიურ განყოფილებაში, სადაც მორიგე ექიმ-გინეკოლოგმა ზ. ო-ძემ და ამავე საავადმყოფოს დირექტორის მოადგილემ სამკურნალო დარგში, მეან-გინეკოლოგმა ნ. ლ-ძემ გასინჯეს პაციენტი და დაუსვეს დიაგნოზი: „პოსტაბორტული მწვავე ენდომეტრიტი, პევილიო პერიტონიტი“, რის საფუძველზეც 5.⁵⁰ საათზე ავადმყოფს ჩაუტარდა საშვილოსნოს ინსტრუმენტული გამოფხეკა.

ავადმყოფს, სიმპტომატიკიდან გამომდინარე, აღენიშნებოდა ძლიერი ტკივილები მუცლის არეში, პირღებინება, შინაგანი გასინჯვის მონაცემებით –საშვილოსნოს ყელი მოძრაობისას მტკივნეული იყო. ექიმ-გინეკოლოგებს –ნ. ლ-ძესა და ზ. ო-ძეს, დანიშნულ დიაგნოზთან ერთად, არ გაუტარებიათ დიფერენციალური დიაგნოზი საშვილოსნოს გარე ორსულობასთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა, მათი მხრიდან, მკურნალობის არასწორი მიმართულებით წარმართვა.

10.²⁵ საათზე საავადმყოფოში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით გამოცხადებულმა მეან-გინეკოლოგიური განყოფილების უფროსმა თ. ს-ძემ გასინჯა ავადმყოფი გ. მ-შვილი და დასვა იგივე დიაგნოზი.

მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფ გ. მ-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საათობრივად მძიმდებოდა, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით პაციენტს ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩაუტარდა გვიან, საავადმყოფოში მისი მიყვანიდან დაახლოებით 7 საათის შემდეგ.

ექსპოპიის შედეგებით, გ. მ-შვილს მუცლის არეში აღმოაჩნდა დიდი ოდენობით თავისუფალი სითხე. როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან ირკვევა, აღმოჩენილი სითხე

წარმოადგენდა სისხლს, რომელიც განვითარებული იყო საშვილოსნოს გარეორსულობით მარჯვენა კვერცხსავალი მილის გასკდომის შედეგად.

ექსკოპიის ასეთი შედეგები და მკვეთრად გამოხატული სიმპტომატიკა, კერძოდ, პაციენტის შოკური მდგომარეობა, ჰემატოკრიტის კრიტიკული მაჩვენებელი, კანისა და ლორწოვანი გარსის იქტერიულობა, პირდაპირ მიუთითებდა ავადმყოფის საშვილოსნოს გარეორსულობის გამო კვერცხსავალი მილის გახეთქვაზე, რომლის ერთადერთ სწორ მკურნალობას წარმოადგენდა სასწრაფო მუცელკვეთა და სისხლდენის შესაჩერებლად დაზიანებული მილის ამოკვეთა, რომლის ჩატარებლობაც აუცილებლად გამოიწვევდა ავადმყოფის სიკვდილს.

თ. ს-მემ გინეკოლოგებთან -ზ. ო-ძესა და ნ. ლ-ძესთან ერთად „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის უგულვებელყოფით, რომლის თანახმადაც, მას ევალებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი გ. მ-შვილისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა, რაც გამომდინარეობდა სწორი დიაგნოზის დასმასა და ადეკვატური მკურნალობის წარმართვაში, კვლავ ვერ დაუსვა პაციენტს სწორი დიაგნოზი, არ დაადგინა ავადმყოფის ორგანიზმში აღმოჩენილი სითხის სახეობა, არ ჩაატარა გადაუდებელი ოპერაცია, რამაც გამოიწვია გ. მ-შვილის სიცოცხლის მოსპობა 15.⁵⁰ საათზე.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გ. მ-შვილის სიკვდილის უშუალო მიზეზია საშვილოსნოს გარე ორსულობის გამო კვერცხსავალი მილის გახეთქვის შედეგად განვითარებული მწვავე სისხლნაკლებობა.

აღნიშნული ქმედებისათვის თ. ს-ძეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რომლის მოხდაც, საქართველოს სსსკ-ის 607-ე მუხლის გამოყენებით, გადაუვადდა სრულად გამოჯანმრთელებამდე; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 15 ათასი ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; გაუქმდა თ. ს-ძისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო და გირაოს სახით შეტანილი თანხა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთ თვეში დაუბრუნდა გირაოს შემტანს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ს-ძემ. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და თ. ს-ძის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ს-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენისას უხეშად დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 435-ე და 436-ე მუხლების მოთხოვნები, სააპელაციო სასამართლომ კი სათანადო შეფასება არ მისცა ამ დარღვევებს; სსსკ-ის 443-ე მუხლი განსასჯელის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ მისგან თავის არიდების შემთხვევაში; საქმეში არ მოიპოვება რაიმე სახის მონაცემი იმის შესახებ, რომ, თითქოს თ. ს-ძე თავს არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას; შექმნილ ვითარებაში, როდესაც განსასჯელი ვერ ცხადდებოდა სასამართლოში, ერთადერთი კანონიერი გამოსავალი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად ექსპერტიზის დანიშვნა; მსჯავრდებულს აშკარად გაუუარესდა მდგომარეობა, რაც დასტურდება ჯანმრთელობის ცნობებითა და სასწრაფო დახმარების გამოძახების გაზრდილი ინტენსივობით; ორივე ინსტანციის სასამართლოებმა კი დაადგინეს, რომ თ. ს-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა იგივე იყო, რაც ექსპერტიზის ჩატარების დროს; სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული მოწმეების დაკითხვა დაუშვებელი იქნებოდა ამგვარი შუამდგომლობის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უარყოფის გამო.

კასატორთა აზრით, მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია; საქმის მასალებში არ მოიძებნება თ. ს-ძის ბრალეულობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ხოლო მარტოოდენ უმოქმედობა დროის მცირე მონაკვეთში არ შეიძლება, დანაშაულად იქნეს მიჩნეული; თ. ს-ძეს პაციენტთან შეხება ჰქონდა დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში, ამის შემდეგ ავადმყოფი გადავიდა სხვა განყოფილებაში, სადაც შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის ნებართვის არმქონე ექიმი არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება; მხოლოდ მას მერე, რაც განმეორებითი ექსკოპიის შემდეგ გაირკვა, რომ ავადმყოფს მუცლის ღრუში ჰქონდა სითხე, თ. ს-ძემ მიიღო ოპერაციის დაუყოვნებლივ გაკეთების გადაწყვეტილება, მაგრამ ორივე ანესთეზიოლოგი და ნარკოზის ორივე აპარატი ოპერაციებზე იყო; სწორედ ეს პერიოდი ჩათვალა სასამართლომ დანაშაულებრივ უმოქმედობად, რაც არასწორია.

კასატორთა მოსაზრებით, სასჯელის ზომა და დამატებითი სასჯელის გამოყენება აშკარად აღემატება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დაფუძნებთ, რომ თ. ს-ძემ მართლაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული; აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული თ. ს-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ს-ძე ითხოვენ პირველი და სააპელაციო ინსტანციების განაჩენთა გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ სრულად შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა მიიჩნევს, რომ თ. ს-მის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, კერძოდ:

სასამართლო სხდომაზე მოწმე გ. ნ-შვილმა განმარტა, რომ ავადმყოფ გ. მ-შვილს პირველი ექსოკოპია ჩაუტარდა დაახლოებით 11 საათზე, მაგრამ გამოკვლევა ვერ მოხერხდა. მეორე ექსოკოპია დასრულდა 12.⁵⁰ საათზე და მუცლის ღრუში აღმოჩნდა სითხე. გ. ნ-შვილმა თ. ს-ძეს აცნობა, რომ მუცლის ღრუში იყო სითხე, სავარაუდოდ -სისხლი და ავადმყოფს ესაჭიროებოდა ოპერაცია. დაახლოებით 14 საათზე გ. ნ-შვილმა ავადმყოფის ახლობლებისაგან შეიტყო, რომ ოპერაცია არ იყო დაწყებული, რაც ძალიან გაუკვირდა.

აღნიშნულ ჩვენებასთან დაკავშირებით საგულისხმოა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ზ. ჩ-ელის განმარტება იმის შესახებ, რომ დაახლოებით 15 საათზე ს-ძე და ო-ძე მას ამშვიდებდნენ -ყველაფერი კარგად არის და სანერვიულო არაფერიაო. ავადმყოფი 15.⁴⁵ საათზე გარდაიცვალა. ზ. ჩ-ელმა ისიც მიუთითა, რომ ექიმებს შესთავაზა ავადმყოფის ქ. თბილისში გადაყვანა, მაგრამ უარი მიიღო.

კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ავადმყოფი გ. მ-შვილი საჭიროებდა სასწრაფო ოპერაციულ ჩარევას, რაც არ ჩატარდა.

სასამართლოში დაიკითხნენ ამ დასკვნის ავტორები -ა. ქ-ძე და ლ. ჩ-უა. ა. ქ-ძემ განმარტა, რომ საავადმყოფოში მიღებისთანავე ავადმყოფს ესაჭიროებოდა გადაუდებელი ოპერაცია, რომლის დაგვიანებამაც გამოიწვია სიკვდილი. ა. ქ-ძემ ასევე მიუთითა, რომ 10.²⁵ საათზე ავადმყოფის მდგომარეობა თ. ს-ძემ შეაფასა როგორც მძიმე, და იგი გადაყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში. ა. ქ-ძემ და ლ. ჩ-უამ დაადასტურეს თავიანთი დასკვნის სისწორე.

მოწმე ირმა ტაბიძის ჩვენებით ირკვევა, რომ ექსოკოპია ჩატარდა დაახლოებით 13 საათზე. ავადმყოფი იმყოფებოდა თ. ს-ძისა და ზ. ო-ძის მეთვალყურეობის ქვეშ. ზ. ო-ძის შეთავაზებას, ავადმყოფი შეეყვანათ საოპერაციოში, თ. ს-ძე უპასუხოდ ტოვებდა და ელოდებოდა სამეანო განყოფილების გამგეს.

ექსპერტმა ა. ბ-ძემ სასამართლოში განმარტა, რომ "საკვანძო მომენტია ექსოკოპიის დასკვნა, რომელიც გაკეთდა 13 საათზე. ამ მომენტიდან მკაფიოდ იკვეთება სრული სურათი და არც სწორი დიაგნოზის დასმა იყო პრობლემა. პაციენტი იყო სასწრაფო საოპერაციო. ყოველი წუთი იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ რატომღაც პაციენტი საოპერაციოდ შეიყვანეს 15.¹⁵ საათზე, 15.²⁰ საათზე დაფიქსირდა გულის გაჩერება, 15.⁵⁰ საათზე -პაციენტის გარდაცვალება".

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მოტივს, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, კერძოდ:

როგორც ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე დაინიშნა სათადარიგო მოსამართლე, რომლის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო საქმე განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს. ამასთან, რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არ არის სავალდებულო, რომ სათადარიგო მოსამართლე იმყოფებოდეს სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დაწყებიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის გაგრძელებას გავლენა არ მოუხდენია კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე და არც სსსკ-ის 436-ე მუხლის მოთხოვნები დარღვეულა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2006 წლის 8 ნოემბერს თ. ს-ძე არ გამოცხადდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. იმავე დღეს შედგენილი ცნობის შესაბამისად, თ. ს-ძეს შეეძლო გადაადგილება და ექვემდებარებოდა ტრანსპორტირებას. ამის შემდეგ სხდომა რამდენჯერმე გადაიდო, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნით თ. ს-ძე საშუალო სიმძიმის ავადმყოფი იყო. ამის შემდეგ განსასჯელი სხდომებზე არ ცხადდებოდა და წერილობით მიმართა სასამართლოს, რათა საქმის წარმოება შეჩერებულიყო ან გაგრძელებულიყო მის დაუსწრებლად.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს ჰქონდა საფუძველი და უფლებამოსილიც იყო, საქმე განეხილა განსასჯელის დაუსწრებლად. ამასთან, მსჯავრდებულ თ. ს-ძის უფლებები არ შეზღუდულა, რამდენადაც იგი მონაწილეობდა იმ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, რასაც ეყრდნობა გასაჩივრებული განაჩენი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არსებითად არ დარღვეულა (რაც შეზღუდავდა პროცესის მონაწილეთა უფლებებს, ხელს შეუშლიდა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენას მოახდენდა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე).

პალატა მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ასევე, თ. ს-ძის მიერ მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას და მიიჩნევს, რომ განსაზღვრული სასჯელი არ არის მეტისმეტად მკაცრი და აშკარად უსამართლო.

ამასთან, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულის თ. ს-ძე უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) დანიშნული ძირითადი სასჯელის -3 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან. ამავე კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან დამატებითი სასჯელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. ს-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მაისის განაჩენი შეიგვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: თ. ს-ძე გათავისუფლდეს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის -3 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, რომლის აღსრულება გადაევადა სრულ გამოჯანმრთელებამდე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დამატებითი სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის განხილვა განსასჯელის დაუსწრებლად

განჩინება

#1009-აპ

11 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 აპრილის განაჩენით:

შ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ შ. გ-შვილის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -გირაო გაუქმდა და გირაოს თანხა 8000 ლარის ოდენობით უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელიდან შ. გ-შვილს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მოხდილად უნდა ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო -2006 წლის 20 ივლი-

სიდან 2006 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით. შ. გ-შილის პატიმრობის ვადის ათვლა უნდა დაეწესოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ შ. გ-შილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

შ. გ-შილმა გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა ფ-1 ტიპის ხელყუმბარა, რომელსაც უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ... ქუჩა #2, ბინა #20-ში.

2005 წლის 1 ივნისს ქ. თბილისში, ... ქუჩის #7-ში არსებულ სასტუმრო "განთიადში" მომუშავე პერსონალზე განაწილებულმა, ხულიგნური ქვენაგრძობით აღვსილმა, განიზრახა თავის მიერ უკანონოდ შექმნილი ხელყუმბარის აფეთქებით დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი, ამასთან, დაეზიანებინა სასტუმროს შენობის ინტერიერი. ამ მიზნით იგი, ფ-1 ტიპის ხელყუმბარით აღჭურვილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა, დაახლოებით 3.30 საათზე მივიდა სასტუმროში, სადაც უცენზურო სიტყვებით დაიწყო ლანძღვა-გინება და იმუქრებოდა ხელყუმბარის აფეთქებით. იქ მომუშავე დაცვის თანამშრომლები მოუწოდებდნენ წესრიგისაკენ, ცდილობდნენ მის დაწყენებას, მაგრამ იგი უფრო მეტი აგრესიით აგრძელებდა თავის ხულიგნურ ქმედებას, რითაც აშკარად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა. მოქმედებდა რა არამართლზომიერად, ხულიგნური ქვენაგრძობით განმსჭვალულმა, სასტუმროს ინტერიერის შესაბამისად, სხვისი ქონების დაზიანების მიზნით, სასტუმროს ეზოში ხელყუმბარას მოხსნა ე.წ. „კოლიცო“, მოიყვანა საბრძოლო მზადყოფნაში და ისროლა შენობის მიმართულებით. ხელყუმბარის აფეთქების შედეგად ნამსხვრევები მოხვდა კიბეს და კედელს, რაც დააზიანა და ამით შ. გ-შილმა ინდემწარმე ნათელა გოგოლაძეს მიაყენა 1000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული შ. გ-შილი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ ჰყავს მოხუცი დედა, მცირეწლოვანი შვილი, არის უსინათლო, 9 აპრილს მოწამლული, გირაოს სახით გადახდილი აქვს 8000 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებული შ. გ-შილი იმყოფებოდა მიმაღლაში, რის გამოც მას მონაწილეობა არ მიუღია საქმის განხილვაში. იგი დააკავეს 2008 წლის 19 აპრილს.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულმა შ. გ-შილმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და მსჯავრდებულ შ. გ-შილის მიმართ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის დაუსწრებლად დადგენილი განაჩენი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი უნდა განეხილა ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობითა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, რადგან, საქართველოს სსსკ-ის 533-ე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი განსასჯელის დაუსწრებლად გამოიტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ზეპირი მოსმენით ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განაჩენი შ. გ-შილის მიმართ და საქმე ზეპირი მოსმენით ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილე პირი

განჩინება

#302-აპ

25 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ს-ოვისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ბ-შვილის, ასევე – მსჯავრდებულ დ. ჭ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ივნისის განაჩენით დ. ჭ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით; ასევე – დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობა ჯგუფურად, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით; ასევე – გამოძალვა, ე.ი. სხვისი ნივთის ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა ჯგუფურად, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები; ასევე – განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ანგარებით, არაერთგზის;

ამავე განაჩენით გ. ს-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად; ასევე – დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობა ჯგუფურად, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით; ასევე – საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა.

დ. ჭ-ძისა და გ. ს-ოვის ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 20 მაისს, საღამოს, დ. ჭ-ძემ მეგობრებთან -გ. ს-ოვსა და დაუდგენელ პირთან ერთად განიზრახა, ყაჩაღური გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთებს, რეალიზაციის შედეგად აღებული თანხა კი ერთმანეთში გაენაწილებინათ. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იმავე დღეს დ. ჭ-ძემ, გ. ს-ოვმა და მათმა თანამზრახველმა თბილისში, პავლოვისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთის ადგილზე გააჩერეს ა. კ-ეის კუთვნილი, „ოპელის“ მარკის ტაქსი, რომელსაც თავად მართავდა. გ. ს-ოვი მანქანაში დაჯდა წინა სავარძელზე, ხოლო დ. ჭ-ძე და დაუდგენელი პირი – უკანა სავარძელზე. მათ მძღოლს სთხოვეს, გარკვეულ საფასურად წაეყვანა ავჭალის დასახლებაში. გ. ს-ოვმა შეახსენა ა. კ-ეის, რომ მას იგი ადრეც ჰყავდა წაყვანილი და, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ტაქსი ხშირად დასჭირდებოდა, რის გამოც მძღოლს გამოართვა მობილური ტელეფონის ნომერი.

აღნიშნულმა ქმედებამ გამოიღო შედეგი და მათ მოტყუებით შეძლეს ა. კ-ეის ავჭალის დასახლებაში მდებარე კორპუსების მახლობლად მიყვანა. მითითებულ ადგილზე მისვლის შემდეგ გ. ს-ოვი და დ. ჭ-ძე გადავიდნენ მანქანიდან, მოეფარნენ თვალს და მოამზადეს წინასწარ წალეხული იარაღი. ამის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ ავტომანქანაში, დ. ჭ-ძემ ამოიღო დიდი ზომის დანა, ხოლო გ. ს-ოვმა – პისტოლეტი და დაუდგენელ პირთან ერთად მძღოლს გასტაცეს ფული და ნივთები. სულ ყაჩაღური გზით გატაცებული ნივთების ღირებულებამ შეადგინა 1060 ლარი.

იმავედროულად თანამზრახველებმა, ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმის დაფარვის მიზნით, განიზრახეს ა. კ-ეის მკვლელობა ჯგუფურად. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. ს-ოვმა უთხრა დაზარალებულს, რომ უნდა მომკვდარიყო, ხოლო დ. ჭ-ძემ დანა დაარტყა გულმკერდის არეში, რითიც გულმკერდის მარჯვენა ნახევარში, მკერდის ძვლის მესამე და მეოთხე ნეკნთაშუა სივრცეში, მიაყენა შემავალი ჭრილობა ფილტვის დაზიანებით, რაც მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიშ, მძიმე ხარისხს. ყოველივეს გამო შეშინებული ა. კ-ეი შეეცადა შემთხვევის ადგილიდან გაქცევას, მაგრამ გ. ს-ოვი წამოეწია მას და პისტოლეტი ჩაარტყა ზურგის არეში, რის გამოც დაზარალებული ძირს დაეცა.

აღნიშნულის შემდეგ თანამზრახველები გატაცებულ ნივთებთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, ხოლო ა. კ-ემ შეძლო იქვე მდებარე კორპუსთან მიხობება და დახმარების თხოვნა, რის შემდეგ იგი გადაიყვანეს თბილისის #4-ე კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც ექიმების დროული და კვალიფიციური დახმარების შედეგად სიკვდილს გადარჩა.

2006 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 15 საათზე, თბილისში, „დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. ჭ-მე დაუდგენელ პირთან ერთად შეხვდა თავის მეზობელ რ. მ-ოვს. მათ მოტყუებით დაიყოლიეს რ. მ-ოვი, რათა გაჰყოლოდა დავით აღმაშენებლის გამზირზე, უცნობ პირებთან მოსალოდნელ კონფლიქტში დასახმარებლად, რაზეც იგი დასთანხმდა და ისინი ერთად გაემართნენ დავით აღმაშენებლის გამზირის 195-ე კორპუსის მიმართულებით. სინამდვილეში დ. ჭ-მესა და დაუდგენელ პირს განზრახული ჰქონდათ, დანაშაულებრივად დაუფლებოდნენ რ. მ-ოვის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, გზაში დ. ჭ-მემ დასარეკად სთხოვა რ. მ-ოვს მისი კუთვნილი, „სონი-ერიქსონი კ-750“ ფირმის მობილური ტელეფონი, რომელიც ჩაიდო ჯიბეში. აღნიშნულის შემდეგ სამივე შევიდა ზემოაღნიშნული კორპუსის სადარბაზოში, სადაც დაუდგენელმა პირმა დ. ჭ-მეს გადასცა დასაკეცი დანა. ისინი ავიდნენ მესამე სართულზე, რადგან, დ. ჭ-მის განცხადებით, მას უნდოდა მეგობრის სახლში ასვლა და წყლის დაღევა. მან დაუდგენელ პირთან წინასწარი შეთანხმებით განიზრახა, ფული გამოეძალა და ძალადობის გამოყენების მუქარით რ. მ-ოვს მოსთხოვა, ტელეფონი თავისი საბუთით ჩაებარებინა ლომბარდში, ხოლო აღებული თანხა მათთვის გადაეცა.

რ. მ-ოვმა, მიუხედავად მუქარისა, ტელეფონის ლომბარდში ჩაბარებაზე უარი განაცხადა და დ. ჭ-მეს მოსთხოვა მობილური ტელეფონის უკან დაბრუნება. დ. ჭ-მემ განიზრახა, მოეკლა არასრულწლოვანი რ. მ-ოვი და ამ გზით დაუფლებოდა მის ტელეფონს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ჯიბიდან ამოიღო დასაკეცი დანა, გახსნა და რ. მ-ოვს სხეულის სხვადასხვა არეში მიაყენა დაზიანებები, რის შემდეგაც დაზარალებული ძირს დაეცა. დაცემის შემდეგ დ. ჭ-მემ ჩათვალა, რომ რ. მ-ოვი გარდაიცვალა, თანამზრახველთან ერთად მიიმალა და გაიტაცა დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონი.

დაჭრილი რ. მ-ოვი გამოვიდა კორპუსიდან და სასწრაფო დახმარების ავტომანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც დროული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადარჩა.

გ. ს-ოვმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 9 ცალი, 7,62მმ კალიბრის ვაზნა, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა.

აღნიშნული ქმედებისათვის საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით (2007 წლის 2 აგვისტომდე მოქმედი რედაქციით) დ. ჭ-მესა და გ. ს-ოვს საბოლოოდ განესაზღვრათ 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2006 წლის 29 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ს-ოვმა და მისმა ადვოკატმა შ. ბ-შვილმა, ასევე, მსჯავრდებულ დ. ჭ-მის ადვოკატმა ლ. კ-იამ. მათ ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გ. ს-ოვისა და დ. ჭ-მის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის განაჩენი შეიცვალა: გ. ს-ოვს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 7 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -2 წლით, მე-19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით კი -13 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე გ. ს-ოვისათვის დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -2 წელი, 8 თვე და 7 დღე; სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით არასრულწლოვან გ. ს-ოვს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით; დ. ჭ-მეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 6 წლით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -4 წლით, მე-19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით -13 წლით, მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით -15 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ დ. ჭ-მეს საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

მსჯავრდებულ დ. ჭ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, არ ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ მტკიცებულებათა ერთობლიობას; საქმის გარემოებები სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოუკვლევიათ; განაჩენი ემყარება მხოლოდ დაზარალებულების ცრუ, ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს; არ არის დადგენილი, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაულები; გამოძიების ცალმხრივობასა და მიკერძოებულობაზე მიუთითებს ისიც, რომ დაზარალებულ ა. კ-ის მობილური ტელეფონი ამოღებულია, მაგრამ გამოძიებას ამ კუთხით არ უმუშავია, რაც ბადებს ეჭვს, რომ გამოძიებაზე ხდებოდა ზეწოლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ლ. კ-ია ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და დ. ჭ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

მსჯავრდებული გ. ს-ოვი და ადვოკატი შ. ბ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი გამოტანილია სისხლის სამართლის კანონის არასწორად გამოყენებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ არ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლით, რომლის თანახმად, თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დაწინაურებული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მეოთხედით; ასევე დაირღვა საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლის მოთხოვნები, ანუ პროცესზე არ მოიწვიეს გ. ს-ოვის დამცველი (სააპელაციო საჩივრის ავტორი) და მას დაუნიშნეს სახა-ზინო ადვოკატი; აღნიშნულით კი არ იქნა უზრუნველყოფილი გ. ს-ოვის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული გ. ს-ოვი და მისი ადვოკატი შ. ბ-შვილი ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. ს-ოვისა და ადვოკატ შ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი ავტორი და, შესაბამისად, აპელანტი იყო ადვოკატი შ. ბ-შვილი. სსკ-ის 531-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნის მიუხედავად, ეს უკანასკნელი სააპელაციო სასამართლოში არ გამოუძახებიათ, იმის მიუხედავად, რომ გ. ს-ოვმა მოითხოვა, მისი ინტერესები დაეცვა ადვოკატს, რომელიც მის ინტერესებს იცავდა შეთანხმებით და რომელიც ამავდროულად იყო აპელანტი.

აღნიშნული წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ არსებით დარღვევას, რამაც შეზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები და რაც გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველია.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას. ამის გამო საკასაციო პალატა არ მსჯელობს მსჯავრდებულ დ. ჭ-ძის ინტერესების დამცველის საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ს-ოვისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენი გ. ს-ოვისა და დ. ჭ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის სავალდებულობა

განჩინება

#1985-აპ

23 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. მ-ევის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 ივლისის განაჩენით:

ა. მ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 137-ე მუხლის პირველი ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ს. მ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ზ. ა-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების: ა. მ-ევის, ს. მ-ევისა და ზ. ა-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ბოლნისის რაიონის სოფ. ... მცხოვრები ა. მ-ევი 2006 წლის 14 აგვისტოს დანაშაულებრივად დაუკავშირდა ამავე სოფელში მცხოვრებ თავის მეგობრებს -ს. მ-ევს, ზ. ა-ოვს, თ. ა-ევს და ძიებით ჯერჯერობით დაუდგენელ პირს, რომლებმაც წინასწარ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ა. მ-ევისათვის ცოლად შერთვის მიზნით, უკანონოდ აღეკვეთათ თავისუფლება ბოლნისის რაიონის სოფ. ... სტუმრად მყოფ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე გ. ნ-ოვასათვის.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2006 წლის 14 აგვისტოს, დაახლოებით 23 საათზე, ა. მ-ევი, ს. მ-ევი, ზ. ა-ოვი, თ. ა-ევი და ძიებით ჯერჯერობით დაუდგენელი პირი ფეხით მივიდნენ ბოლნისის რაიონის სოფ. ... არსებულ, ბ. ლ-ევის სახელობის წყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მეგობრებთან ერთად ფეხით მიმავალ გ. ნ-ოვას. ს. მ-ევმა, ზ. ა-ოვმა, თ. ა-ევმა, ძიებით ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა და ა. მ-ევმა, ამ უკანასკნელისათვის ცოლად შერთვის მიზნით, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, რის შემდეგ, მისი ნების საწინააღმდეგოდ, წაიყვანეს იგი ბოლნისის რაიონის სოფ. ... განაპირას მდებარე ტყის მიმართულებით, საიდანაც მათ გ. ნ-ოვა გადაიყვანეს ა. მ-ევის დის -მ. ო-ოვას საცხოვრებელ სახლში. ა. მ-ევმა ძალის გამოყენებით შეიყვანა გ. ნ-ოვა საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ოთახში, თოკით მიაბა ოთახში მდგარი საწოლის ფეხზე, რის შემდეგ უშწყო მდგომარეობაში მყოფ გ. ნ-ოვასთან ძალადობითა და ძალადობის მუქარით დაამყარა სქესობრივი კავშირი.

2006 წლის 15 აგვისტოს გ. ნ-ოვას ადგილსამყოფელი შეიტყვეს მისმა ნათესავებმა, რომლებმაც უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი გ. ნ-ოვა დაბრუნეს ბებიის -მ. ნ-ოვას საცხოვრებელ სახლში.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ს. მ-ევი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შესწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებული ს. მ-ევი იმყოფებოდა ექსტრადიციის რეჟიმში, რის გამოც მას მონაწილეობა არ მიუღია საქმის განხილვაში. იგი საქართველოში ჩამოიყვანეს განაჩენის გამოტანის შემდეგ და 2007 წლის 1 სექტემბერს შეასახლეს თბილისის #1 საპრობილეში.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულ ს. მ-ევის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პირველი ინსტანციის განაჩენი გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და მსჯავრდებულ ს. მ-ევის მიმართ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის დაუსწრებლად დადგენილი განაჩენი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულ ს. მ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი უნდა განეხილა ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობითა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, რადგან, საქართველოს სსსკ-ის 533-ე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი განსასჯელის დაუსწრებლად გამოიტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ზეპირი მოსმენით ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი ს. მ-ევის მიმართ და საქმე ზეპირი მოსმენით ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. განაჩენის შებრუნება საუარესოდ

განჩინება

#206-აპ-08

3 ნომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ ე. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ს-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლის საფუძველზე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

საბრალდებო დასკვნით ა. ს-ძეს ბრალი ედებოდა მცირეწლოვნის გაუპატიურებაში, ჩადენილი არაერთგზის, აგრეთვე, გარყვნილ ქმედებაში, ჩადენილი ძალადობის გარეშე, წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირთან, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის ზაფხულში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, ოზურგეთის რაიონის დაბა ... მცხოვრებმა ა. ს-ძემ თავისი საცხოვრებელი სახლიდან დაინახა ქუჩაში მყოფი, მის მეზობლად მცხოვრები, მცირეწლოვანი, 1993 წლის 28 სექტემბერს დაბადებული ბ. მ-შვილი, რომელიც მოტყუებით შეიყვანა თავისი საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის მისაღებ ოთახში, სადაც დანის გამოყენებით, ძალადობითა და ძალადობის მუქარით, იცოდა რა, რომ ბ. მ-შვილი არ იყო თოთხმეტი წლის ასაკს მიღწეული, დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი, რის შემდეგაც ა. ს-ძე მოკვლით დაემუქრა მას, რათა მომხდარის შესახებ არსად გაემხილა. მანვე 2004 წლის შემოდგომის დასაწყისში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, თავის საცხოვრებელ სახლთან არსებული ფარეხიდან დაინახა ქუჩაში მყოფი ბ. მ-შვილი, რომელიც ერთხელ უკვე ჰყავდა გაუპატიურებული. იგი კვლავ მოტყუებით შეიყვანა თავისი საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის მისაღებ ოთახში, სადაც ტახტზე დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ ა. ს-ძე მოკვლით დაემუქრა ბ. მ-შვილს, რათა მომხდარის შესახებ არსად გაემხილა. მანვე 2004 წლის შემოდგომაზე, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, ბ. მ-შვილს მიაკითხა დაბა ... საშუალო სკოლაში და სკოლის შენობაში, მოფარებულ ადგილას მდებარე სარდაფთან, დანის გამოყენებით, ძალადობითა და ძალადობის მუქარით გახადა შარვალი და ქვედა საცვალი, რის შემდეგაც დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ ა. ს-ძე კვლავ მოკვლით დაემუქრა ბ. მ-შვილს, რათა მომხდარის შესახებ არ გაემხილა. მანვე 2004 წლის შემოდგომიდან 2005 წლის ზაფხულამდე დროის პერიოდში, ზემოაღნიშნული ფაქტების შემდეგ, ზუსტი დრო დაუდგენელია, სხვადასხვა დღეს სამჯერ მიაკითხა ბ. მ-შვილს დაბა ... საშუალო სკოლაში და სამჯერ ჩაიდინა გარყვნილი ქმედება, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი ბ. მ-შვილს ხელებით ეფერებოდა, ჩქმეტდა და კბენდა სხეულის სხვადასხვა ადგილზე, ხელით ეფერებოდა სასქესო ორგანოებზე და კოცნიდა მკერდზე, ხელს აკიდებინებდა თავის სასქესო ასოზე და სხეულის სხვა ადგილებზე, რის შემდეგაც მოკვლით ემუქრებოდა, რომ მომხდარის შესახებ არსად გაემხილა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმძებელმა, აგრეთვე -მსჯავრდებულმა ა. ს-ძემ.

აპელანტი, ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ. ნ-მე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენის გამამართლებელი ნაწილის გაუქმებას, კერძოდ, ა. ს-მის გაუპატიურების ბრალდებაში დამნაშავედ ცნობასა და ამ დანაშაულის გამო მისთვის 13 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობით კი -მსჯავრდებულისათვის 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

აპელანტი, მსჯავრდებული ა. ს-მე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გარყვნილი ქმედებისათვის მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას, ამ ბრალდებაშიც უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ა. ს-მის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო პროკურორ მ. ნ-მის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა, კერძოდ: ა. ს-მეს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და იმავე კოდექსის 141-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განუსაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, მას საბოლოო სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. ს-მის დამცველმა, ადვოკატმა ე. მ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ა. ს-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია მისთვის განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ს-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ს-მის ბრალდების საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა არასრულად და არაობიექტურად, რაც გამოიხატა შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი საქმე იყო ძალზე მნიშვნელოვანი და სპეციფიკური, ვინაიდან იგი ეხებოდა არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტიმური ცხოვრების დეტალებს, ამასთან, მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა არასრულწლოვნის მიმართ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც იგი პირველი ინსტანციის სასამართლომ გაამართლა, ხოლო საქმის მასალებში მტკიცებულებებს შორის იყო არსებითი წინააღმდეგობები, აღნიშნული საქმე მოსამართლემ განიხილა ერთპიროვნულად. მართალია, მოცემულ შემთხვევაში კანონით მოსამართლე უფლებამოსილი იყო, საქმე განეხილა ერთპიროვნულად, მაგრამ ფაქტია, რომ ერთპიროვნული განხილვის ვითარებაში ვერ იქნა უზრუნველყოფილი სასამართლო გამოძიების ჩატარება სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად, რასაც მოითხოვს საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლი, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაირღვა საქართველოს სსკ-ის 540-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის მიხედვით, თუკი გამამართლებელი განაჩენი იცვლება გამამტყუნებელი განაჩენით, მაშინ სასამართლო გამოძიება უნდა ჩატარდეს სრული მოცულობით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლე შემოიფარგლა მხოლოდ მსჯავრდებულის, დაზარალებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ზერელე დაკითხვითა და საქმეში არსებული ზოგიერთი მასალის გამოქვეყნებით, ე.ი. რეალურად ჩატარდა შეკვეცილი პროცესი, რაც ვერ ჩაითვლება საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლითა და 540-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების შესრულებად, რის გამოც გაურკვეველი დარჩა საქმის მასალებს შორის არსებული წინააღმდეგობანი. ამავე დროს, საქმის განხილვის ცალმხრივობაზე ისიც მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შეფასება მიეცა მხოლოდ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, ხოლო შეფასების გარეშე დარჩა საქმის ის მასალები და ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც განაჩენის დადგენისას ეყრდნობოდა პირველი ინსტანციის სასამართლო ა. ს-მის გამართლების ნაწილში.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოში ა. ს-მის ბრალდების საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას გამოვლენილ არაობიექტურობას, ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ დარღვევებზე: საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში პროცესში მონაწილე პროკურორმა სასამართლო კამათის სტადიაზე მოითხოვა განსასჯელ ა. ს-მის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის, ასევე იმავე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე და ამ ნაწილში მისთვის სასჯელის ზომად 13 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა, საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლის საფუძველზე -2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა, ხოლო მთლიანად მის მიმართ -15 წლის ვადით თავისუფლების

აღკვეთის დანიშვნა. სახელმწიფო ბრალმდებელი იმავე მოთხოვნას აყენებდა თავის სააპელაციო საჩივარში და, ასევე, მან იგივე მოთხოვნა დააყენა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, სასამართლო კამათის სტადიაზე. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოში ა. ს-მის მიმართ განაჩენის დადგენისას მოსამართლემ აშკარად დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით დადგენილი მოთხოვნები, რაც იმაში გამოიხატა, რომ მსჯავრდებულ ა. ს-მეს, ბრალეულად ცნო რა იგი საქართველოს სსსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, მსჯავრდებულის კანონიერი ინტერესების საზიანოდ, ამ ნაწილში სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით, ხოლო მთლიანად მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

გარდა ამისა, განაჩენის არაობიექტურობას ადასტურებს შემდეგი გარემოებაც: მან დადგენილად მიიჩნია და ა. ს-მეს ბრალად შეერაცხა დაზარალებულ ბ. მ-შვილის მიერ არა წინასწარი გამოძიების სტადიაზე, არამედ –სასამართლო განხილვისას მითითებული მისი გაუპატიურების ისეთი ფაქტი, რომელიც საბრალდებო დასკვნით მსჯავრდებულს ბრალად არ წარდგენია და რომლის თაობაზეც მას ბრალდების მხარე არც სასამართლოში ედავებოდა.

ამრიგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ა. ს-მის ბრალდების საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევებით, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე. ამასთან, ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდება დაცვის მხარის მოთხოვნა ა. ს-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, რადგან სააპელაციო სასამართლოში საქმე არ განხილულა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და, აქედან გამომდინარე, არასრულყოფილი პროცესის საფუძველზე მიღებული შედეგებით შეუძლებელია საბოლოო დასკვნების გამოტანა მსჯავრდებულის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენი ა. ს-მის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საქმის ხელახლა განხილვა უნდა ჩატარდეს საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით, ხოლო განსახილველი საქმის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი და სასურველია, რომ მოცემული საქმე განიხილოს კოლეგიურმა სასამართლო შემადგენლობამ –სრული მოცულობით. საბოლოოდ მხოლოდ ამ გზით მოპოვებულ უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე უნდა გამოიტანოს სასამართლომ ა. ს-მის მიმართ კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ს-მისა და მისი დამცველის, ადვოკატ ე. მ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენი ა. ს-მის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. საკასაციო გასაჩივრების ვადა; ვადის აღდგენა

საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

განჩინება

#33^I

31 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების ო. ნ-შვილისა და ვ. ი-შვილის დამცველის, ადვოკატ ნ. ფ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც ო. ნ-შვილისა და ვ. ი-შვილის ადვოკატს -ნ. ფ-შვილს უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განაჩენით ო. ნ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "ა", "ვ" ქვეპუნქტებით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" და მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის "ა", "ვ" ქვეპუნქტებით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ე" ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იმავე განაჩენით ვ. ი-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე ნაწილებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "ა", "ვ" ქვეპუნქტებით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" და მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის "ა", "ვ" ქვეპუნქტებითა (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) და მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" და მე-3 ნაწილის "ე" ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2007 წლის 14 ივნისის მსჯავრდებულების -ო. ნ-შვილისა და ვ. ი-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ნ. ფ-შვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მას სურდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება სასჯელის ნაწილში, რაც ვერ შეძლო იმ მიზეზით, რომ მსჯავრდებულების პირველი ადვოკატი -ნ. ი-შვილი, რომელსაც უნდა გაესაჩივრებინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით, დაკავებულ იქნა თაღლითობის ბრალდებით და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება, რის გამოც მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს მოუხდათ ახალი დამცველის -ნ. ფ-შვილის დაქირავება. იმის გამო, რომ საქმე არის რთული კატეგორიის და დიდი მოცულობის, მისი გაცნობა, საკასაციო საჩივრის მომზადება და მასზე მსჯავრდებულების ხელმოწერა დარჩენილ ორ დღეში მან ვერ მოახერხა. სწორედ ამიტომ გაუშვა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა. საჩივრით ადვოკატი ნ. ფ-შვილი ითხოვდა მითითებული ვადის აღდგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულების -ო. ნ-შვილისა და ვ. ი-შვილის დამცველს, ადვოკატ ნ. ფ-შვილს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

ადვოკატმა ნ. ფ-შვილმა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას იმავე მოტივების საფუძველზე, რაც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში იმავე საკითხის გამო შეტანილ განცხადებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი მსჯავრდებულების -ო. ნ-შვილისა და ვ. ი-შვილის მიმართ დადგენილია 2007 წლის 30 აპრილის. განაჩენი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომლის მიხედვით, ადვოკატმა საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა იმ მიზეზით, რომ დაცვის შესახებ ორდერი გაფორმდა 2007 წლის 28 მაისს და, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანისათვის დარჩენილი იყო მხოლოდ ორი დღე, საქმე კი არის რთული კატეგორიის და დიდი მოცულობის, მისი გაცნობა, საკასაციო საჩივრის მომზადება და

მასზე მსჯავრდებულების ხელმოწერა დარჩენილ ორ დღეში ვერ მოესწრებოდა, პალატა ვერ გაიზიარებს, მას არ მიიჩნევა საპატიო მიზეზად და, აქედან გამომდინარე, გაშვებული გასაჩივრების ვადის აღდგენის საფუძველად.

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების -ო. ნ-შვილისა და ვ. ი-შვილის დამცველის, ადვოკატ ნ. ფ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულების -ო. ნ-შვილისა და ვ. ი-შვილის დამცველს, ადვოკატ ნ. ფ-შვილს უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

განჩინება

#4¹ 1 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ტ. დ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილებაზე, რომლითაც მსჯავრდებულ ტ. დ-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განაჩენით ტ. დ-შვილი, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ე" ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

2007 წლის 9 ნოემბერს მსჯავრდებულმა ტ. დ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მის მიერ გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულ ტ. დ-შვილს სურდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება, რაც თავად დროულად ვერ შეძლო იმ მიზეზით, რომ მის დამცველს უნდა შეეტანა საკასაციო საჩივარი, მან კი მოგვიანებით შეიტყო, რომ დამცველს საჩივარი არ შეუტანია, რის გამოც საპროცესო ვადის დარღვევით მოუხდა საკასაციო საჩივრის შეტანა. საჩივრით მსჯავრდებულ ტ. დ-შვილი ითხოვდა გაშვებული ვადის აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილებით მსჯავრდებულ ტ. დ-შვილს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა ტ. დ-შვილმა აღნიშნული სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კერძო საკასაციო საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და შეამოწმა მსჯავრდებულ ტ. დ-შვილის კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი მის მიერ გაცდენილი საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი მსჯავრდებულ ტ. დ-შვილის მიმართ დადგენილია 2007 წლის 28 ივნისის. განაჩენი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ მსჯავრდებულმა ტ. დ-შვილმა საკასაციო საჩივრის შეტანა დააგვიანა იმ მოტივით, რომ იგი ელოდებოდა დამცველის მიერ საჩივრის შეტანას, რომელმაც ერთი თვის ვადაში არ შეიტანა საჩივარი და ამის გამო საპროცესო ვადის დარღვევით თავად მსჯავრდებულს მოუხდა სასამართლოსთვის საკასაციო საჩივრით მიმართვა, პალატა ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომლის გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ტ. დ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილება, რომლითაც მსჯავრდებულ ტ. დ-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

განჩინება

#662-აპ

22 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ს-იას კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის დადგენილებაზე, რომლითაც ვ. ს-იას უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენით ვ. ს-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულ სასჯელს დაემატა

წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან მოუხდელი ნაწილი -3 წელი, 4 თვე, 11 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით, 4 თვითა და 11 დღით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ს-იამ. მან საკასაციო საჩივარ შეიტანა საკასაციო გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევით, კერძოდ, 2008 წლის 25 იანვარს, რის გამოც საჩივარი უკან დაუბრუნდა.

2008 წლის 11 თებერვალს მსჯავრდებულმა ვ. ს-იამ სააპელაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში გასაჩივრების ვადის დარღვევის მიზეზად მითითებულია, რომ მას განაჩენი ჩაჰბარდა დაგვიანებით, რის გამოც გაუცდა საკასაციო გასაჩივრების ვადა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის დადგენილებით მსჯავრდებულ ვ. ს-იას საჩივრის მოთხოვნა საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მსჯავრდებული ვ. ს-ია კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული დადგენილების გაუქმებასა და საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენას იმ საფუძველით, რომ მას განაჩენი ჩაჰბარდა დაგვიანებით, რის გამოც გაუცდა საკასაციო გასაჩივრების ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საჩივრის მოტივები და მიიჩნევს, რომ კერძო საკასაციო საჩივარი გაშვებული გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში.

განაჩენი ვ. ს-იას მიმართ დადგენილია 2007 წლის 24 დეკემბერს. მოსამართლემ გასაჩივრების ვადის თაობაზე ამომწურავად მიუთითა განაჩენში.

საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება დადგენილებით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა.

საქმის მასალების თანახმად, მსჯავრდებულ ვ. ს-იას 2007 წლის 26 დეკემბერს წერილობით ეცნობა მისი სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვისა და შედეგის შესახებ, ხოლო 2008 წლის 4 იანვარს განაჩენის ასლი გაეგზავნა ქუთაისის #2 საპყრობილეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება კასატორის მიერ კერძო საკასაციო საჩივარში მითითებული არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მას განაჩენი ჩაჰბარდა დაგვიანებით, რის გამოც გაუცდა საკასაციო გასაჩივრების ვადა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი არ არსებობს, საქმის მასალები სათანადოაა გამოკვლეული და შეფასებული. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის დადგენილება კანონიერი, დასაბუთებულია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ვ. ს-იას კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის დადგენილებაზე, რომლითაც ვ. ს-იას უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვადის აღდგენა

განჩინება

#1778-აპ

29 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის დამცველის, ადვოკატ ვ. მ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განჩინებაზე, რომლითაც მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის დამცველს, ადვოკატ ვ. მ-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ივნისის განაჩენით ზ. ბ-შვილი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

2007 წლის 7 ივლისს მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის ადვოკატმა ვ. მ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მას სურდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება, მაგრამ საკასაციო საჩივრის შეტანა საპროცესო ვადის დაცვით ვერ შეძლო თავისი ავადმყოფობის გამო. საჩივრით ვ. მ-შვილი ითხოვდა ვადის აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის დამცველ ადვოკატს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე, ვინაიდან მისი მოთხოვნა მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად.

მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ვ. მ-შვილმა აღნიშნული დადგენილება გასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი ზ. ბ-შვილის მიმართ დადგენილია 2007 წლის 8 ივნისის. განაჩენი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ არგუმენტებს, რომ მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ვ. მ-შვილმა საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა ავადმყოფობის გამო, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან დამცველმა სააპელაციო სასამართლოში სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ იგი ავად იმყოფებოდა 4 ივლისიდან 8 ივლისამდე და მკურნალობდა სტომატოლოგიურ კაბინეტში შპს "ექოდენტში", რაც დასტურდება მითითებული სტომატოლოგიური კაბინეტის დირექტორის მიერ გაცემული ცნობით. აღნიშნული არ შეიძლება საპატიო მიზეზად იქნეს მიჩნეული, რადგან ვ. მ-შვილს ჰქონდა გასაჩივრების ერთთვიანი ვადა, რომელიც მან არ გამოიყენა, ამასთან, ადვოკატის მიერ წარმოდგენილი სტომატოლოგიური კაბინეტ, "ექოდენტის" მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, მას აღნიშნებოდა მწვავე "ვინგივო სტომატიტი", რაც ვერ ჩაითვლება ისეთ საპატიო მიზეზად, რის გამოც შესაძლებელი იქნება საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა.

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის დამცველის, ადვოკატ ვ. მ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, რომლითაც ზ. ბ-შვილის ადვოკატ ვ. მ-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

განჩინება

#18¹

30 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- დ. სულაქველიძე**

ზუპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. მ-ევის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ც. რ-იანის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებაზე, რომლითაც ნ. მ-ევის უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენით ნ. მ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19, 108-ე მუხლით -7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ნ. მ-ევის წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება.

ნ. მ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19, 108-ე მუხლით -7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2008 წლის 4 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა მსჯავრდებულ ნ. მ-ევის განცხადება გაცდენილი გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში გასაჩივრების ვადის დარღვევის მიზეზად მითითებულია, რომ მას სურდა გაესაჩივრებინა განაჩენი, მაგრამ ადვოკატის გამო დარჩა მოტყუებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ ნ. მ-ევის განცხადება საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მსჯავრდებულ ნ. მ-ევის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ც. რ-იანი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენას

იმ საფუძველით, რომ განჩინება არის უკანონო; ადვოკატმა არ გაასაჩივრა განაჩენი; ნ. მ-ევი არ ფლობს სამართალწარმოების ენას, რის გამოც მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაესაჩივრებინა განაჩენი; იგი დარჩა გარანტირებული დაცვის უფლების გარეშე, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტურ დებულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საჩივრის მოტივები და მიიჩნევს, რომ კერძო საკასაციო საჩივარი გაშვებული გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში.

საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება დადგენილებით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა.

საქმის მასალების თანახმად, მსჯავრდებული ნ. მ-ევი თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას უზრუნველყოფილი იყო თარჯიმნით, მას სრულად ეთარგმნა სხდომის მიმდინარეობა, განემარტა უფლება-მოვალეობები, მათ შორის, გასაჩივრების წესი და ვადა, ჩაჰბარდა მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი განაჩენის ასლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება კასატორის მიერ კერძო საკასაციო საჩივარში მითითებული არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ნ. მ-ევი არ ფლობს სამართალწარმოების ენას და მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაესაჩივრებინა განაჩენი, რის გამოც გაუცდა საკასაციო გასაჩივრების ვადა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი არ არსებობს, საქმის მასალები სათანადოდაა გამოკვლეული და შეფასებული. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინება კანონიერი, დასაბუთებულია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ნ. მ-ევის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ც. რ-იანის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებაზე, რომლითაც ნ. მ-ევს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

განჩინება

#11¹

18 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეკირი მოსმენის გარეშე განიხილა რეაბილიტირებულ გ. ო-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა რეაბილიტირებულ გ. ო-შვილის კერძო სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის დადგენილება, რომლითაც გ. ო-შვილს უარი ეთქვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მისთვის მიყენებული ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

აღნიშნული განჩინება რეაბილიტირებულმა გ. ო-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა 2008 წლის 10 იანვარს, გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევით.

2008 წლის 21 იანვარს გ. ო-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ გ. ო-შვილს საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვებისთვის ჰქონდა მიზეზი, კერძოდ, მას თვის ბოლომდე დამცველისთვის არ ჰქონდა სათანადო ანაზღაურების საშუალება, ხოლო თვის ბოლოს, გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე 5 დღით ადრე, გახდა ავად, ჰქონდა რადიკულიტის მწვავე შეტევა, რაც დასტურდება შესაბამისი სამედიცინო ცნობით და სწორედ ამ მიზეზით ვერ შეძლო ვადის დაცვით გასაჩივრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განჩინებით გ. ო-შვილს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

რეაბილიტირებულმა გ. ო-შვილმა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განჩინება გ. ო-შვილის მიმართ დადგენილია 2007 წლის 28 ნოემბერს. განჩინება საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება გ. ო-შვილის მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა ავადმყოფობის გამო, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან გ. ო-შვილს გასაჩივრებული განაჩენის გამოცხადების დღიდან 2007 წლის 25 დეკემბრამდე, ანუ იმ დღემდე, როცა ავად გახდა, ჰქონდა გასაჩივრებისთვის საკმარისი დრო. მის მიერ ვადის დარღვევით შეტანილი საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას, რის გამოც აღნიშნული საჩივარი ვერ დაკმაყოფილდება.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ საკვებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

რეაბილიტირებულ გ. ო-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განჩინება, რომლითაც გ. ო-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინების საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

განჩინება

#12 ¹

18 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. დ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით რ. დ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლისა და იმავე კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "ე" ქვეპუნქტების (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 378² მუხლის პირველი ნაწილის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრება და რ. დ-შვილის საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით.

2008 წლის 31 იანვარს მსჯავრდებულმა რ. დ-შვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ რ. დ-შვილმა საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა იმიტომ, რომ არ ჰყავდა დამცველი, თავისი უცოდინარობის გამო კი ვერ შეძლო გასაჩივრების ვადის გამოთვლა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებით რ. დ-შვილს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა რ. დ-შვილმა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი რ. დ-შვილის მიმართ დადგენილია 2007 წლის 17 დეკემბერს. განაჩენი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება რ. დ-შვილის მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა თავისი უცოდინარობის გამო, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან რ. დ-შვილის მიერ ვადის დარღვევით შეტანილი საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. დ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 თებერვლის განჩინება, რომლითაც რ. დ-შვილს უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#24 ¹

20 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ჭ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილებაზე, რომლითაც მსჯავრდებულ ს. ჭ-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განაჩენით ს. ჭ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის საფუძველზე ს. ჭ-შვილი გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან.

2008 წლის 13 მაისს მსჯავრდებულმა ს. ჭ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მის მიერ გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულ ს. ჭ-შვილს სურდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება, რაც დროულად ვერ შეძლო იმ მიზეზით, რომ არის მეტად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული და მას არ ჰქონდა კვალიფიციურ იურისტის კონსულტაციისთვის საჭირო თანხა. უფასო ადვოკატთან დაკავშირება კი მან მაშინ შეძლო, როცა გასული იყო გასაჩივრების ვადა. საჩივრით მსჯავრდებული ს. ჭ-შვილი ითხოვდა გაშვებული ვადის აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილებით მსჯავრდებულ ს. ჭ-შვილს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა ს. ჭ-შვილმა აღნიშნული სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კერძო საკასაციო საჩივრით იგი ითხოვს მის მიერ გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და შეამოწმა მსჯავრდებულ ს. ჭ-შვილის კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი მსჯავრდებულ ს. ჭ-შვილის მიმართ დადგენილია 2008 წლის 28 მარტს. განაჩენი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ მსჯავრდებულმა ს. ჭ-შვილმა საკასაციო საჩივრის შეტანა დააგვიანა იმ მოტივით, რომ არ ჰქონდა დამცველისთვის მომსახურების ანაზღაურების საშუალება, პალატა ამას ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომლის გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს.

საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ს. ჭ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილება, რომლითაც მსჯავრდებულ ს. ჭ-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#19 ¹ 8 დეკემბერი, 2008 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ტ-ძის დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ურის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ჯ. ტ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

2008 წლის 19 მარტს მსჯავრდებულ ჯ. ტ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ლ. ა-ურმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ ჯ. ტ-ძის დამცველს, ადვოკატ ლ. ა-ურს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულ ჯ. ტ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ლ. ა-ურმა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში. როგორც საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, აღნიშნულ

ვადამი არც ბრალდების მხარისა და არც დაცვის მხარის წარმომადგენელს საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. მსჯავრდებულ ჯ. ტ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ლ. ა-ურმა თავის განცხადებაში საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების მიზეზად მიუთითა შემდეგ გარემოებაზე: 2007 წლის 22 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ ჯ. ტ-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენის თაობაზე მან 2007 წლის 17 დეკემბერს დამატებითი სააპელაციო საჩივარი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. დამატებითი სააპელაციო საჩივარი ამ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კანცელარიაში რეგისტრირებულ იქნა 2007 წლის 18 დეკემბერს, ხოლო მოსამართლეს გადაეცა 20 დეკემბერს. ამ დროისათვის ჯ. ტ-ძის საქმეზე შეტანილი ძირითადი სააპელაციო საჩივარი უკვე განხილული იყო ზეპირი მოსმენის გარეშე, რომლის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ჯ. ტ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად. იმის გამო, რომ იგი სააპელაციო სასამართლოსგან ელოდებოდა პასუხს დამატებითი სააპელაციო საჩივრის თაობაზე, მან გაუშვა სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007 წლის 18 დეკემბერს ჯ. ტ-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენის საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრებისათვის კანონით განსაზღვრული ერთთვიანი ვადა, რადგან არ იცოდა, სააპელაციო სასამართლომ რა გადაწყვეტილება მიიღო დამატებითი სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმარტავს: საქართველოს სსსკ-ის 526-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სააპელაციო საჩივარი ძირითადი საჩივრის ხარვეზის შესავსებად შეიძლება შეტანილ იქნეს სააპელაციო გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში - კონკრეტულად კი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჯ. ტ-ძის მიმართ განაჩენი გამოიტანა 2007 წლის 22 ოქტომბერს, ხოლო დამატებითი სააპელაციო საჩივარი (თბილისის სააპელაციო სასამართლოში და არა იმავე სასამართლოში) შეტანილ იქნა 2007 წლის 18 დეკემბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 524-ე და 526-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, წარმოებაში მიეღო და განეხილა ადვოკატ ლ. ა-ურის მიერ შეტანილი დამატებითი სააპელაციო საჩივარი. ამასთან, ვინაიდან გასული იყო სააპელაციო გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა, ადვოკატ ლ. ა-ურს უნდა მიემართა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის გაშვებული ვადის აღდგენის მოთხოვნით, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო დამატებითი სააპელაციო საჩივარს განიხილავდა ძირითად სააპელაციო საჩივართან ერთად. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ადვოკატ ლ. ა-ურის მიერ შეტანილ არაუქმენტს, რომლის მიხედვით, მან საკასაციო გასაჩივრების ვადა გაუშვა იმის გამო, რომ ელოდებოდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დამატებითი სააპელაციო საჩივარზე, რადგან, საპროცესო კანონის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გამოეტანა რაიმე გადაწყვეტილება კანონის დარღვევით შეტანილ საჩივარზე, რის თაობაზეც, კანონიდან გამომდინარე, ცნობილი იყო აპელანტ ლ. ა-ურისთვის. ამდენად კასატორის მიერ მითითებული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული მის მიერ საკასაციო ვადის გაშვების საპატიო მიზეზად.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის კანონიერი საფუძველი, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინება, რომლითაც ადვოკატ ლ. ა-ურს უარი ეთქვა მის მიერ არასაპატიო მიზეზით გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე, არის კანონიერი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ადვოკატ ლ. ა-ურის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინება, რომლითაც ადვოკატ ლ. ა-ურს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა; საკასაციო ვადის აღდგენა

განჩინება

#22 ¹

15 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- პ. სილაგაძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილებაზე, რომლითაც მსჯავრდებულ მ. გ-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით მ. გ-შვილი, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 3 თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის პირველი ნაწილით ჯარიმა -2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მ. გ-შვილს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 3 თვის ვადით, აგრეთვე, ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. მასვე დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

2008 წლის 4 მარტს მსჯავრდებულმა მ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მის მიერ გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მსჯავრდებულ მ. გ-შვილს სურდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება, რაც დროულად ვერ შეძლო იმ მიზეზით, რომ იყო ავად, ხოლო ადვოკატი კი არ ჰყავდა და ითხოვდა გაშვებული ვადის აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილებით მსჯავრდებულ მ. გ-შვილს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა მ. გ-შვილმა აღნიშნული სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კერძო საკასაციო საჩივრით, იმავე მოტივით, რაც მას მითითებული ჰქონდა თავის განცხადებაში, იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და შეამოწმა მსჯავრდებულ მ. გ-შვილის კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი მის მიერ გაცდენილი საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი მსჯავრდებულ მ. გ-შვილის მიმართ დადგენილია 2007 წლის 6 დეკემბერს, მან კი საკასაციო საჩივრით სასამართლოს მიმართა 2008 წლის 4 მარტს.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ მსჯავრდებულმა მ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრის შეტანა დააგვიანა იმიტომ, რომ იყო ავად და არც ადვოკატი ჰყავდა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან საქმეში არ არსებობს მ. გ-შვილის ავადმყოფობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატის არყოფას პალატა ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომლის გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს, ვინაიდან, როგორც სააპელაციო, ისე კერძო საკასაციო საჩივარი თვით მსჯავრდებულის მიერაა დაწერილი.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. გ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის სასამართლო სხდომის საოქმო დადგენილება, რომლითაც მსჯავრდებულ მ. გ-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების მის მიერ გაშვებული ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა

განჩინება

#308-აპ-08

11 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ ი. კ-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-ძე წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებისა (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) და იმავე კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

იმავე განაჩენით გ. მ-ძე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში.

განაჩენით გ. მ-ძეს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით, აგრეთვე, იძულებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-ძე და გამოძიებით დაუდგენელი ორი ბოროტმოქმედი ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულნი, ნიღბებით, 2006 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 23 საათზე, თავს დაესხნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მცხოვრებ შ. ფ-ძის ოჯახს, რადროსაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით ოჯახის წევრებისაგან მოითხოვეს ფული და ძვირფასეულობა. მათ თანაქონი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და დაუდგენელი წარმოების პისტოლეტის გამოყენებით სცემეს და სხეულის დაზიანება მიყენეს დაზარალებულ ლ. ნ-შვილს, ხოლო ოჯახიდან ყაჩაღურად გაიტაცეს თანხა -950 აშშ დოლარისა და 3000 ლარის ოდენობით, ასევე, შ. ფ-ძის კუთვნილი, "სამსუნგის" ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 400 ლარად, რითაც დაზარალებულებს მიყენეს 5200 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ამასთან, შ. ფ-ძე, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აიძულეს, მისი კუთვნილი "მერსედესის" მარკის ავტომობილით წაეყვანა ისინი სოფელ ვარციხის მიმართულებით, რითაც მას უკანონოდ შეუზღუდეს თავისუფლება, რის შემდეგაც ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. მ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ი. კ-ავამ. აპელანტი თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გ. მ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო აღნიშნულ მოთხოვნას ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით: გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; საქმეზე ჩატარდა არასრული და ცალმხრივი გამოძიება; განაჩენში მოყვანილი ფაქტები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; საქმის განხილვა მოხდა საპროცესო კანონის

არსებითი დარღვევით; სასამართლო გამოძიებისას არ დაკითხულან ის პირები, რომელთა ჩვენებებსაც მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად; სასამართლოს განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებულ შ. ფ-ის ჩვენებას, რომელიც მიუთითებს გ. მ-ძეზე, როგორც დანაშაულის ჩამდენ პირზე, რადგან გარდა აღნიშნული ჩვენებისა, საქმეში არ არსებობს სხვა მტკიცებულება.

საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო წყალტუბოს რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ გ. მ-ძის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. მ-ძემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ი. კ-ავამ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვენ აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სასამართლოს განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. მ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. მ-ძის ბრალდების საქმის განხილვისას არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, რომლის შესაბამისად, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა იქნეს გამოკვლეული როგორც ბრალდების დამადასტურებელი, ასევე ის გარემოებებიც, რომლებიც ამართლებენ პირს, ვისაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული თავისთავად გულისხმობს საქმეზე როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთნაირი ყურადღებით გამოკვლევასა და შეფასებას საპროცესო კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, აგრეთვე, საქმის განხილვისას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების განუხრელად დაცვას.

საქმის მასალების შესწავლით ირკვევა შემდეგი:

წინასწარი გამოძიების სტადიაზე გ. მ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ი. კ-ავამ შუამდგომლობით მიმართა გამომძიებელ ფ. ა-შვილს, რომელსაც შუამდგომლობასთან ერთად წარუდგინა თავის მიერ მოძიებული დაცვის მოწმეების -ვ. ჩ-ძის, ქ. ჩ-ძის, რ. ჩ-ძის, გ. ს-ძის, ნ. ჯ-ძის, ლ. ჩ-ძის, თ. მ-ძისა და მ. ქ-შვილის ახსნა-განმარტებები, რომლებიც ადასტურებდნენ დაცვის მხარის ალიბს, კერძოდ იმას, რომ მომხდარი შემთხვევის დროს გ. მ-ძე იმყოფებოდა სოფელ . . . , თავის ნათესავებთან და იგი დანაშაულს ვერ ჩაიდენდა. ადვოკატი შუამდგომლობით ითხოვდა, რომ აღნიშნული მასალა, თანახმად საპროცესო კანონისა, დართოდა სისხლის სამართლის საქმეს -როგორც მტკიცებულებები. გამომძიებელმა ფ. ა-შვილმა 2006 წლის 15 ივნისის დადგენილებით დააკმაყოფილა ადვოკატი ი. კ-ავას შუამდგომლობა და მის მიერ წარდგენილი მასალა დაურთო სისხლის სამართლის საქმეს.

წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ საქმის განხილვისას დაცვის მხარეს უარი უთხრა ზემოხსენებული დაცვის მოწმეების გამოძახებასა და დაკითხვაზე იმ საფუძველით, რომ შუამდგომლობა არ იყო წარდგენილი საპროცესო კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. მათ დაკითხვაზე დაცვის მხარეს იმავე მოტივით ასევე უარი უთხრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ. ამავე დროს, არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ თავიანთ განაჩენებში არავითარი შეფასება არ მისცეს საქმეში მტკიცებულებების სახით არსებულ იმ მასალას, რომელიც წინასწარი გამოძიების სტადიაზე წარადგინა ადვოკატმა და დაერთო საქმეს. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს საპროცესო კანონის ისეთ არსებით დარღვევას, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე კანონიერი, დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ შეუმოწმებია მსჯავრდებულისა და დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები, ყოველივე ეს კი მიუთითებს სასამართლო გამოძიების ცალმხრივობაზე.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში მოხდა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არსებითი საპროცესო დარღვევა, რომელიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გ. მ-ძის საქმის განხილვისას და მის მიმართ განაჩენის დადგენისას, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველია.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენი გ. მ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება მხარეთა თანასწორობისა და

შეჯიბრებითობის პირობებში, რა დროსაც თანაბარმნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს და ობიექტურად შეფასდეს როგორც ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასევე -დაცვის მხარის ის მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ მსჯავრდებულის უდანაშაულობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდება დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც იგი ითხოვს გ. მ-ძის მიმართ სისხლისსამართ-
ლებრივი დევნის შეწყვეტას, ვინაიდან არ არის გამოკვლეული და სარწმუნოდ დადგენილი არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ: გააჩნია თუ არა რეალური საფუძველი დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ ალიბს დანაშაულის ჩადენისას გ. მ-ძის სხვა ადგილზე ყოფნის თაობაზე, რის გამოც შეუძლებელია საკასაციო ინსტანციაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მისი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ ი. კ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენი გ. მ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა

განჩინება

#1068-აპ

29 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით კ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 25 მაისიდან.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, კ. ლ-ძეს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ კ. ლ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 25 მაისს კ. ლ-ძე ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თავის საცხოვრებელ სახლში. მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც მისი სპორტული შარვლის მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს სიგარეტის ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, მოთეთრო ფერის აბი, წარწერით "ბ8" და სიგარეტის ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, მოთეთრო ფერის ერთი აბის ნატეხი, რომელიც წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას "სუბოტექს", წონით 0,46 გრამს. ჩხრეკა ჩატარდა კ. ლ-ძის საცხოვრებელ ბინაში და კარადაში მოთავსებული ლითონის ჭრელი ჯამიდან ამოიღეს ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, მოგრძო ფორმის აბი, წარწერით "ბ8", ნარკოტიკული საშუალება "სუბოტექსი", წონით 0,46 გრამი.

კ. ლ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინი", წონით 0,0064 გრამი, რომელიც უკანონოდ შეინახა და 2007 წლის 25 მაისს, დაახლოებით 12 საათზე, ასევე, უკანონოდ გაასადა ქ.

გორში, ... ქ. #11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში სათანადო დადგენილების საფუძველზე შესაბამისი ლეგენდირებით დანაშაულებრივ ჯგუფში საკონტროლო შესყიდვისათვის ჩანერგილ საქართველოს შსს ოპერატიული დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროს ინსპექტორ ე. ნ-მეზე.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული კ. ლ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული; საქმეზე არ გამოკვლეულა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, არ დაკითხულან მოწმეები; სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას არ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეების - ე. ნ-ძის, კ. ბ-ძის, მ. მ-შვილის ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, საკონტროლო შესყიდვის მასალებით, სატელეფონო საუბრების კრებსებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულ კ. ლ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კ. ლ-ძეს დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან ასეთი დასკვნისთვის საქმის მასალებში საფუძველი არ მოიპოვება.

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. ეს კი მოცემულ შემთხვევაში როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს არ გაუკეთებიათ.

საქართველოს სსსკ-ის 475-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, აგრეთვე, იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

საქმის მასალების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაცვის მხარემ წარმოადგინა დოკუმენტები მტკიცებულებების სახით კ. ლ-ძის პიროვნების, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ. ამის მიუხედავად, საქართველოს სსსკ-ის 484-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს საერთოდ არა აქვს გამოკვლეული მხარის მიერ წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტები. ხოლო სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ კ. ლ-ძის მიმართ გამოტანილ განაჩენში საერთოდ არ იმსჯელა აღნიშნულ დარღვევაზე.

მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობამ გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რაც, სსსკ-ის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, ვინაიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, საქმეში არსებული, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები გამოიკვლიოს საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განჩინებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ ახალი სასამართლო განხილვისას უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსებული პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დამატებითი სასჯელის სახით კ. ლ-ძისათვის 10000 ლარის დანიშვნის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განაჩენი კ. ლ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. განაჩენის გამოტანა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ

განჩინება

#112-აპ

7 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ტ-ძისა და მსჯავრდებულ ვ. მ-იას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენით ზ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით; ასევე -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ; ასევე -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა და გადაზიდვა; ასევე -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გასაღება არაერთგზის.

ამავე განაჩენით ვ. მ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით; ასევე -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ; ასევე -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა და ტარება.

ზ. ქ-შვილისა და ვ. მ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ზ. ქ-შვილმა და ვ. მ-იამ სხვა პირთან ერთად განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ ამ უკანასკნელის დის -ნ. ა-შვილის კუთვნილ ნივთებს, რომელსაც ის ინახავდა საოჯახო დანიშნულების სეიფში. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ 2006 წლის 29 სექტემბერს ისარგებლეს ნ. ა-შვილის ბინაში არყოფნით და ზ. ქ-შვილმა და ვ. მ-იამ ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ, სხვა პირის მიერ გადაცემული, ნ. ა-შვილის საცხოვრებელი ბინის გასაღების მეშვეობით შეაღწიეს ბინაში, საიდანაც ფარულად გაიტაცეს სეიფი, ღირებული 1500 ლარად და მასში მოთავსებული ოქროს ნივთები, ნ. ა-შვილის მეუღლის -ს. კ-შვილის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღები, ნ. ა-შვილის მამის -ვარლამ ა-შვილის კუთვნილი ფული -36000 აშშ დოლარი და 13000 ლარი, რამაც ეროვნულ ვალუტაში მთლიანობაში შეადგინა 75000 ლარი.

ზ. ქ-შვილისა და ვ. მ-იას ქმედებით დაზარალებულ ნ. ა-შვილს მიადგა 11720 ლარის დიდი ოდენობის ზიანი, ს. კ-შვილს -12000 ლარის ოდენობის, ხოლო ვ. ა-შვილს -75500 ლარის დიდი ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული დანაშაულისათვის ზ. ქ-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 23 წლითა და 6 თვით, ხოლო ვ. მ-იას -22 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით აღნიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -3 თვე, 14 დღე და ვ. მ-იას მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 22 წლის, 9 თვისა და 14 დღის ვადით.

ზ. ქ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 18 დეკემბრიდან, ხოლო ვ. მ-იას -2007 წლის 13 ივლისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა -ზ. ქ-შვილმა და ვ. მ-იამ. ზ. ქ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა სასჯელის შემსუბუქება, ხოლო ვ. მ-იამ -ადიარა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით ჩადენილი დანაშაული, ხოლო დანარჩენ ნაწილში კი ითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ტ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი ზ. ქ-შვილის მიმართ ზედმეტად მკაცრია; იგი ნაწილობრივ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს და აცხადებს, რომ მოქმედებდა მარტო, რადგან ვ. მ-იამ უარი განაცხადა ნ. ა-შვილის ბინის გაქურდვაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. ტ-ძე ითხოვს ზ. ქ-შვილისათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოხსნას, 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გადაკვალიფიცირებას სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და სასჯელის შემსუბუქებას.

კასატორი -მსჯავრდებული ვ. მ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი მის მიმართ უკანონო და უსამართლოა; ვინც სინამდვილეში ჩაიდინა დანაშაული, ის აღიარებს და აცხადებს, რომ ვ. მ-ია მასთან ერთად არ ყოფილა; თავისი სახლიდან ამოღებული იარაღი მას აჩუქეს და ამიტომ აღიარებს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ვ. მ-ია ითხოვს განაჩენის გაუქმებას და ობიექტური სასამართლო გამოძიების ჩატარებას, ასევე იმის გათვალისწინებას, რომ მის კმაყოფაზე მარტოხელა დედა და არასრულწლოვანი და.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ზ. ქ-შვილი და ვ. მ-ია ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითაც გათვალისწინებული ქმედების, ე.ი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) გათვალისწინებულ ქმედების ჩადენისათვის სასჯელად განსაზღვრულია 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულების საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ განიხილა ერთპიროვნულად, მაშინ, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680-ე მუხლის მე-20 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე უფლებამოსილი იყო, ერთპიროვნულად განეხილა მხოლოდ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე შეტანილი საჩივრები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენი გასაუქმებელია ყველა შემთხვევაში, თუ იგი გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ზემოაღნიშნული, არსებითი დარღვევის გამო საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საჩივრებში მითითებულ მოტივებზე.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენი ზ. ქ-შვილისა და ვ. მ-იას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გამოტანა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ

განჩინება

#509-აპ

17 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პროკურორ დ. ჩ-ელის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენით გ. კ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. კ-იას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 15 ივნისიდან.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. კ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. კ-იამ გამოიღობით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატის – „სუბოტექსის“ აბები.

2007 წლის 15 ივნისს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, პუშკინის ქ. #9-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში, დააკავეს გ. კ-ია, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 0,024 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 3 ცალი აბი, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 0,531308 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 66 ცალი აბი და 1 ცალი აბის ნატეხი. სულ გ. კ-იასაგან ამოღებულ იქნა უკანონოდ შეძენილი და შენახული 0,555308 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 69 აბი და ერთი ცალი აბის ნატეხი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 იანვრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 იანვრის დადგენილებით განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენის გამოტანის თარიღად მითითებული 2007 წლის 8 ნოემბრისა და 1 ნოემბრის ნაცვლად მიეთითა მხოლოდ 2007 წლის 1 ნოემბერი.

პროკურორი დ. ჩ-ელი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; სააპელაციო სასამართლო საქმე განიხილა საქართველოს სსკ-ის 521-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლოში განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეები განიხილება სამი მოსამართლის შემადგენლობით, ამ შემთხვევაში კი საქმე მოსამართლემ განიხილა ერთპიროვნულად, რაც კანონის დარღვევას წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 521-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის საფუძველზე საქმეს განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით. ამავე კოდექსის 680-ე მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილი საჩივრები შესაძლებელია სააპელაციო წესით ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ.

გასაჩივრებული განაჩენით გ. კ-იას მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით აღნიშნული

ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ საქმე განიხილა ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განხილვა უნდა მომხდარიყო სამი მოსამართლის შემადგენლობით.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის წესი, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 იანვრის განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 იანვრის განაჩენი გ. კ-ის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. სასჯელის შეუსაბამობა ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

განჩინება

#2075-აპ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენით შ. ფ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის IV ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებული სასჯელს იხდის 2006 წლის 8 დეკემბრიდან.

საბრალდებო დასკვნით შ. ფ-შვილს ბრალი დაედო ყაჩაღობაში, ე.ი. თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად; ასევე –სამხედრო სავალდებულო სამსახურის თვითნებურ დატოვებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

შ. ფ-შვილი დაუკავშირდა თავის ნაცნობ ლ. ც-შვილს და გადაწყვიტეს ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ მოქალაქეებს, მათი მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებით მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2005 წლის 12 აგვისტოს, 01.00 საათზე, ისინი მივიდნენ ქ. თბილისში, თემქის დასახლების IV მ/რაიონში არსებულ სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ტაქსის მძღოლ ნ. მ-შვილს და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცეს ფულადი თანხა -13 ლარი და მიიძალნენ.

2004 წლის 25 ივნისს შ. ფ-შვილი გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გლდან-ნამალადევის კომისარიატის მიერ. 2004 წლის ივნისში იგი ჩაირიცხა სასაზღვრო ძალების სიით შემად-

გენლობაში, კერძოდ, უმცროს მეთაურთა მომზადების ცენტრში. 2004 წლის 8 აგვისტოს შ. ფ-შვილი მიავლინეს შიდა საუწყებო დაცვის სამსახურში. 2005 წლის 19 სექტემბერს მას შეუწყდა მივლინება და დაბრუნდა დისლოკაციის ადგილზე წვრთნისა და გადამზადების ცენტრში, რომელიც შ. ფ-შვილმა 2005 წლის 22 დეკემბერს თვითნებურად მიატოვა.

წინასწარმა გამოძიებამ შ. ფ-შვილის ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 388-ე მუხლის IV ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 ივლისის განაჩენით შ. ფ-შვილს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და იგი აღნიშნულში გამართლდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის პროკურორმა თ. კ-ავამ და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად -6 წლით, ხოლო 388-ე მუხლის IV ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა, საბოლოო სასჯელად კი საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად -11 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენის თაობაზე თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა გ. ჩ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. პროკურორმა მოითხოვა ლმობიერების მოტივით უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოში ხელახლა განსახილველად მისი დამძიმების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ლმობიერების მოტივით უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და საქმის დაბრუნების შესახებ სასამართლოში ხელახლა განსახილველად მისი დამძიმების მიზნით, უსაფუძვლობის გამო.

სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა შემდეგ მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე: დაზარალებულმა ნ. მ-შვილმა სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით დაადასტურა მასზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი, რაც მოხდა 2005 წლის 12 აგვისტოს, მაგრამ ასევე განმარტა, რომ მომხდარი თავდასხმის შედეგად მიღებული ტრავმის გამო თვალები ჰქონდა ჩასისხლიანებული და პოლიციის მუშაკებს განუცხადა, რომ ვერ შეძლებდა თავდამსხმელის ამოცნობას. მას პოლიციის მუშაკებმა მიუტანეს თვალებში ჩასაწვეთებელი წამალი, რომლის მოხმარების შემდეგ გაარჩია გამომძიებლის სახე, მაგრამ წერა-კითხვა არ შეეძლო. იმავე დღეს მას ამოსაცნობად წარუდგინეს ფოტოსურათები, რომელთაგან ერთ-ერთი მიახლოებულა თავდამსხმელს -სახელად შ.; თავდამსხმელის დაკავების შემდეგ, პირის ამოსაცნობად წარდგენის დროს, დაზარალებულმა მხედველობის გაუარესების გამო ამოცნობა ვერ შეძლო.

დაზარალებულასვე ჩვენებით დადგენილია, რომ მას, შემთხვევამდე, ერთი თვალიდან მხედველობა საერთოდ არ ჰქონდა, ხოლო მეორე თვალით უჭირს ხედვა. მისი ცუდი მხედველობის გამო, მართალია, არ იყო სასურველი მანქანის მართვა, მაგრამ ამას აკეთებდა ეკონომიკური გაჭირვების გამო, თუმცა მუშაობის პერიოდში ოცამდე მანქანა ჰყავს დამტვრეული.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულ ნ. მ-შვილის ჩვენება, პალატის აზრით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უტყუარ მტკიცებულებად, რამეთუ იგი პირდაპირ ვერ მიუთითებს მსჯავრდებულ შ. ფ-შვილზე, როგორც დანაშაულის ჩამდენ პირზე.

საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სავსებით სწორად გაამართლეს შ. ფ-შვილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ვინაიდან ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარი მტკიცებულებები ბრალდების დასამტკიცებლად.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით შ. ფ-შვილზე მსჯავრად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ შ. ფ-შვილს საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის IV ნაწილით დანიშნული სასჯელი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა -უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ შ. ფ-შვილს საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის IV ნაწილით დანიშნული სასჯელი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა -გაუნახევრდეს და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შეუსაბამობა ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

განჩინება

#1227-აპ

22 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -ზ. პ-ოვის, კ. ო-ოვისა და ა. კ-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატების -თ. ა-ძის, ლ. კ-ძისა და ნ. ფ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 მაისის განაჩენზე ზ. პ-ოვის, კ. ო-ოვისა და ა. კ-იანის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენით,

ა. კ-იანი, კ. ო-ოვი და ზ. პ-ოვი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს დიდი ოდენობით ქურდობის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარული დაუფლების მცდელობა

არაერთგზის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ასევე –ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე –ყალბი საკრედიტო და საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება და გამოყენება, ჯგუფურად და არაერთგზის; ასევე –კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციაში, ე.ი. მანქანა-მატარებელზე, ელექტროგამომთვლელ მანქანაზე, ეგმ-ის სისტემასა და მათ ქსელში ასახულ ინფორმაციაში არამართლობიერი შეღწევა, რამაც ინფორმაციის მოპოვება გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ ვ. პ-შვილს შორის. ვ. პ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და განესაზღვრა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით -5 წლით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით -8 წლით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით -4 წლით, 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ვ. პ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით; სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით მას დაუდგინდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით და მსჯავრდებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

ა. კ-იანის, ზ. პ-ოვისა და ვ. ო-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოხატა შემდეგში:

ა. კ-იანმა, ვ. ო-ოვმა, ზ. პ-ოვმა და ვ. პ-შვილმა ერთად განიზრახეს ყალბი საკრედიტო და საანგარიშსწორებო ბარათების დამზადება და მათი გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საბანკო დაწესებულებებიდან სხვისი მოძრავი ნივთის დიდი ოდენობით, არაერთგზის ფარული დაუფლება. მათ გამოიძიებთ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, არამართლობიერად შეადგინეს კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციაში და დაეუფლნენ მონაცემებს სხვადასხვა საზღვარგარეთული ბანკის მიერ თავიანთ მომხმარებლებზე გაცემული პლასტიკური ბარათების ნომრებისა და თითოეულ ასეთ ნომერზე მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდების, ე.წ. „პინ-კოდების“ შესახებ, რაც საკმარისი იყო საქართველოში მოქმედი საბანკომატო ქსელის მეშვეობით ხსენებულ ბარათებზე რიცხვითი თანხების დასაუფლებლად.

აღნიშნული განზრახვით ვ. პ-შვილმა თავისი თანამშრომლებისაგან მოიპოვა ვადაგასული პლასტიკური ბარათები. მათ ტექნიკური საშუალების გამოყენებით ბარათების მაგნიტურ ზოლში შეიტანეს საზღვარგარეთული ბანკების ბარათების ნომრები, რითაც გააყალბეს ისინი და მათი გამოყენებით საქართველოში მოქმედი სს „თიბისი ბანკის“, სს „ბანკი რესპუბლიკას“, სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“, სს „ბანკი ქართუს“, სს „ბაზისბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბანკომატო ქსელებიდან არაერთგზის განახორციელეს დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება და დაუფლების მცდელობა. სულ ა. კ-იანი, ვ. ო-ოვი, ზ. პ-ოვი და ვ. პ-შვილი ყალბი პლასტიკური ბარათების გამოყენებით დიდი ოდენობით დაეუფლნენ: „სტ პაციფიკ ჩრედიტ უნიონ-ის“ 300 აშშ დოლარს, „ბანკ ოფ ამერიკა, ნატონალ ასოციაციონს-ის“ 8255 ლარს და 27720 აშშ დოლარს, „ენსიგნ ჟედერალ ჩრედიტ უნიონ-ის“ 3500 ლარს და 18550 აშშ დოლარს, „ჟP მორგან ჩჰასე ბანკ N.A.-დებეტ-ის“ 720 ლარს და 400 აშშ დოლარს, „ნევადა ჟედერალ ჩრედიტ უნიონ-ის“ 5650 ლარს და 1100 აშშ დოლარს, „შუნ ჰესტ ჟედერალ ჩრედიტ უნიონ-ის“ 1455 ლარს, „თრავის ჩრედიტ უნიონ-ის“ 500 დოლარს, „ჰასპინგტონ მუტუალ ბანკ, F.A.-ის“ 5400 აშშ დოლარს, „ჰელლს ფარგო ბანკ, ნატონალ ასოციაციონ-ის“ 5750 ლარს და 21450 აშშ დოლარს, „ჰესკომ ჩრედიტ უნიონ-ის“ 500 აშშ დოლარს. ე.ი. სულ 25330 ლარს და 75920 აშშ დოლარს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

გარდა ამისა, ა. კ-იანმა 2003 წელს საკუთარ სახელზე დაამზადა და იყენებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს #სპ023237 ყალბ მოწმობას. ვ. ო-ოვმა არაერთგზის, 2003 წელს საკუთარ სახელზე დაამზადა და იყენებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს #სპ022237 ყალბ მოწმობასა და 2001 წელს დამზადებულ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის #117 ყალბ საკრედიტო ბარათს. ზ. პ-ოვმა 2000 წელს საკუთარ სახელზე არაერთგზის დაამზადა და იყენებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის #017 ყალბ საკრედიტაციო ბარათს.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. კ-იანს, ვ. ო-ოვსა და ზ. პ-ოვს საბოლოოდ მიესაჯათ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოთ: ა. კ-იანსა და ზ. პ-ოვს -2005 წლის 1 ოქტომბრიდან, ვ. ო-ოვს კი 2005 წლის 2 ოქტომბრიდან. ამავე განაჩენით ვ. ო-ოვისა და ზ. პ-ოვის მიმართ სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ა. კ-იანის მიმართ -სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ფ-შვილმა. მან ითხოვა მსჯავრდებულების გამართლება სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის მე-19,177-ე, 177-ე და 210-ე მუხლებით - მათთვის 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 მაისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ა. კ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ის გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; ა. კ-იანი, კ. ო-ოვი და ზ. პ-ოვი გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; ა. კ-იანი, ზ. პ-ოვი და კ. ო-ოვი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საბოლოოდ, სასჯელთა შთანთქმისა და ნაწილობრივი შეკერების პრინციპით, თითოეულს მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულ ზ. პ-ოვის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ა-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი მკაცრია, რადგან ზ. პ-ოვი არ არის ნასამართლევი; ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი; ნაწილობრივ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს; დაცვას მიაჩნია, რომ სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება არ არის გამაგრებული და დადასტურებული საქმის მასალებით; აღნიშნული ბრალდება ემყარება მხოლოდ ეჭვებს, რომ პლასტიკურ ბარათებზე ჩასაწერად მოპოვებული ინფორმაცია მოპოვებული იყო ზ. პ-ოვის „ემგ“ სისტემაში შეღწევით, რაც მას არ შეეძლო, რადგან არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა და გამოცდილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი თ. ა-ძე ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, ზ. პ-ოვის მიმართ სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, ხოლო სხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - მინიმალური სასჯელის შეფარდებას.

კასატორი -მსჯავრდებულ კ. ო-ოვის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია როგორც კვალიფიკაციის, ისე -სასჯელის ნაწილში; სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა კ. ო-ოვის ქმედება საქართველოს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რადგან მუხლის ეს რედაქცია ამკაცრებს სასჯელს, მაშინ, როცა 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის ზემოაღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი სასჯელის მინიმუმად ითვალისწინებდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, ამასთან, ეს ნაწილი თავისთავად მოიცავს 177-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილებს და დამატებითი კვალიფიკაცია საჭირო აღარ იყო; კ. ო-ოვი სააპელაციო სასამართლოში მოითხოვდა სსკ-ის 284-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების მოხსნას, რადგან დამტკიცდა, რომ მსჯავრდებულებს უკვე მზა ინფორმაციას ელექტრონული ფოსტისა და ინტერნეტ პეიჯერის საშუალებით აწვდიდა ინკოგნიტო პირი; ამასვე ითხოვენ საკასაციო პალატის წინამეც; სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კ. ო-ოვი პირველად სასამართლოში; ხასიათდება დადებითად; გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; ნებაცხოვრებით გამოცხადდა საგამომიები ორგანოებში, ითანამშრომლა და ხელი შეუწყო გამოძიებას; არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, ამიტომ მისთვის დანიშნული სასჯელი შეუსაბამოა ჩადენილ ქმედებასთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ლ. კ-ძე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის განაჩენის შეცვლას, კ. ო-ოვისათვის სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდების ამორიცხვას, მის მსჯავრდებას 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მინიმალური სასჯელის განსაზღვრას, ასევე, სსკ-ის 362-ე მუხლით მსჯავრდებაზე მითითების ამორიცხვას.

მსჯავრდებულების: ა. კ-იანისა და ზ. პ-ოვის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ფ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა სსკ-ის 284-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში, რადგან წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს არ არსებობდა არც ერთი უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ ზ. პ-ოვმა და ა. კ-იანმა პლასტიკური ბარათების გაყალბებისათვის საჭირო ინფორმაცია მოიპოვეს კანონით დაცულ კომპიუტერულ სისტემაში შეღწევით; ეჭვი კი უნდა გადაწყვეტილიყო მსჯავრდებულების სასარგებლოდ და მათ მიმართ უნდა შეწყვეტილიყო სისხლისსამართლებრივი დევნა; სასამართლო პროცესზე განსასჯელმა ვ. პ-შვილმა განმარტა, რომ ის ინფორმაციას მოიპოვებდა ხაკერული გზით, ამ მზა ინფორმაციას კი კ. ო-ოვის სახელზე გახსნილი ელექტრონული მისამართისა და ელექტრონული პეიჯერის საშუალებით აწვდიდა დანარჩენ განსასჯელებს, ა. კ-იანმა და ზ. პ-ოვმა არ იცოდნენ, ვინ იყო ინფორმაციის მომპოვებელი და მიმწოდებელი; ვ. პ-შვილი ინკოგნიტო პირის სახელით მოპოვებული ინფორმაციის სანაცვლოდ მათგან ითხოვდა მოპარული თანხის 70%-ს, რომელიც ანგარიშის ნომერზე ჩასარიცხად მიჰქონდა ქ. კიევში და ეს თანხები მას ჰქონდა თავისთავად ვირტუალურ

ანგარიშზე; კ. ო-ოვმა განმარტა, რომ მან არც კი იცოდა, რა სისტემით მოიპოვებდა ინფორმაციას და შესაძლოა, აღწევდა კანონით დაცულ კომპიუტერულ სისტემაში; სასამართლოს უნდა გამოეყენებინა მსჯავრდებულთა ჩვენებები იმის მტკიცებულებად, რომ ა. კ-იანსა და ზ. პ-ოვს არ ჩაუდენიათ სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალეული ქმედება; სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ და საქმეზე მტკიცებულებად დართულ ექსპერტიზის ცნობაზე, რომელიც ადასტურებს, რომ ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული პეიჯერი არ წარმოადგენს კანონით დაცულ კომპიუტერულ სისტემას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ნ. ფ-შვილი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულების -ა. კ-იანისა და ზ. პ-ოვის სასარგებლოდ, მათ მიმართ სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო სსკ-ის მე-19,177-ე, 177-ე და 210-ე მუხლებით ჩადენილი დანაშაულისათვის -3-3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრების მოტივს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს არ ჩაუდენიათ სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება. ის გარემოება, რომ რომელიმე მსჯავრდებულს უშუალოდ არ შეუდგენია ეგმ-ის სისტემაში, მოცემულ შემთხვევაში გავლენას ვერ მოახდენს ა. კ-იანის, კ. ო-ოვისა და ზ. პ-ოვის ქმედების კვალიფიკაციაზე.

მსჯავრდებულმა ვ. პ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ მან, ა. კ-იანმა, კ. ო-ოვმა და ზ. პ-ოვმა გადაწყვიტეს პლასტიკური ბარათების ბილიკებისა და მათი კოდების შესახებ ინფორმაციის კომპიუტერის მეშვეობით მოპოვება. მანვე მიუთითა, რომ ყველას საერთო აზრი ჰქონდა და ითვალისწინებდნენ მათი ქმედებების შედეგს.

სასამართლოში კ. ო-ოვმაც განაცხადა, რომ შეთანხმდნენ ინფორმაციის მოპოვების, ჩაწერისა და გამოყენების შესახებ.

პალატა აღნიშნავს, რომ ადრე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის სასჯელად განსაზღვრული იყო 3-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები სასჯელად ითვალისწინებენ 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ახალი სისხლის სამართლის კანონით ამ ქმედებისათვის შემსუბუქდა სასჯელი, კერძოდ, მისი ზედა ზღვარი. ამასთან, შეიცვალა დანაშაულის კატეგორია. ამდენად, სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ახალ სისხლის სამართლის კანონს აქვს უკუძალა. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა დანაშაულის ჩადენისას მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის მინიმალური ზღვარი.

რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული მსჯავრი.

კ. ო-ოვის ადვოკატი მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო და სააპელაციო პალატამ კ. ო-ოვი უკანონოდ ცნო დამნაშავედ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

პალატა კასატორის ამ მოტივს ვერ გაიზიარებს, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ სამივე მსჯავრდებული დამნაშავედ ცნო აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაშიც.

რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენის სამართლიანობას, პალატა აღნიშნავს, რომ სასჯელთა დანიშვნისას სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულთა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, მხედველობაში მიიღო ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგიც.

სსკ-ის 565-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესაც და მიიჩნევს, რომ მათთვის დანიშნული სასჯელები არ არის მეტისმეტად მკაცრი და აშკარად უსამართლო.

ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულები უნდა გათავისუფლდნენ სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან და, შესაბამისად, უნდა შეუმსუბუქდეთ სასჯელები.

პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულებს საბოლოო სასჯელები დანიშნული აქვთ ადრე მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული

შთანთქმისა და ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გამოყენებით და ვინაიდან ეს საკითხი არ არის დაკონკრეტებული, ხოლო ერთ-ერთი მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან მსჯავრდებულები გათავისუფლდნენ, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება სასჯელთა ნაწილობრივ შეკრებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების -ზ. კ-ოვის, კ. ო-ოვისა და ა. კ-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატების - თ. ა-ძის, ლ. კ-ძისა და ნ. ფ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 მაისის განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულთა სასიკეთოდ: "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ა. კ-იანი, კ. ო-ოვი და ზ. კ-ოვი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

გასაჩივრებული განაჩენიდან ა. კ-იანის, კ. ო-ოვისა და ზ. კ-ოვის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული მსჯავრი და მითითება სასჯელთა ნაწილობრივ შეკრებაზე;

ა. კ-იანს, კ. ო-ოვსა და ზ. კ-ოვს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19,177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებითა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით განესაზღვროთ 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ა. კ-იანს საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; კ. ო-ოვს საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; ზ. კ-ოვს საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შეუსაბამობა ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

განჩინება

#1072-აპ

11 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ ვ. ი-შვილისა და მსჯავრდებულ ზ. წ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. მ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 თებერვლის განაჩენით ზ. წ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად გაასადა ყალბი საგადასახადო დოკუმენტი, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის ივლისში ზ. წ-იას დაუკავშირდა მ. ღ-ი და მოელაპარაკა, დახმარებოდა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და სასაქონლო ზედნადებების გასაღებაში, მათში დაფიქსირებული საქონლის მთლიანი ღირებულების 10%-ად, რაშიც დაჰპირდა საქონლის მთლიანი ღირებულების 1%-ს.

ამავე თვის შუა რიცხვებში ზ. წ-იამ მ. ღ-ს გააცნო დავით ხ-ია, რომელსაც მ. ღ-ი დაჰპირდა ყალბი ანგარიშ-ფაქტურების დამზადებას, რომლის მიხედვით დადგინდებოდა, თითქოს ინდემწარმე

“რ. ზ-მე” შპს “ისტ-ვესტ-ტრაიდინგს-ს” აწვდიდა 165 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალას.

შეთანხმების შემდეგ მ. ლ-მა დაამზადა 4 ანგარიშ-ფაქტურა, თანდართული ზედნადებებითა და სალაროს შემოსავლის ქვითრებით და დ. ხ-იასათვის გასასაღებლად გადასცა ზ. წ-იას, რაშიც ამ უკანასკნელს უნდა აეღო 16 500 ლარი.

17 ივლისს ზ. წ-ია შეხვდა დ. ხ-იას, გადასცა მ. ლ-ის მიერ დამზადებული ყალბი საგადასახადო დოკუმენტები და დ. ხ-იასაგან მიიღო 2000 ლარი, რა დროსაც ზ. წ-ია დააკავეს.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. წ-იას მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 17 ივლისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა და მოითხოვა ზ. წ-იასათვის სასჯელად ჯარიმის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელიდან 1 წელი ჩათვალა პირობით, ამავე ვადით, ხოლო სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 19 ივლისიდან.

სახელმწიფო ბრალმდებელი ვ. ი-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ უკანონოდ გამოიყენა სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რადგან წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულმა გამოიყენა დუმის უფლება და მან დანაშაული აღიარა და თანამონაწილე დასახელა მხოლოდ დამატებით დაკითხვის დროს. გარდა ამისა, ზ. წ-ია დააკავეს დანაშაულის ჩადენისთანავე და ყოველივე ზემოაღნიშნული გამორიცხავს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ახალი განხილვისასთვის საქმის იმავე სასამართლოში გაგზავნას იმ მოტივით, რომ უკანონოდ იქნა გამოყენებულ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმა და მსჯავრდებულს დაენიშნა მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების სიმძიმის შეუსაბამო სასჯელი.

მსჯავრდებულის ადვოკატი საკასაციო საჩივრით მოითხოვს ზ. წ-იასათვის სასჯელად ჯარიმის - 8000 ლარის განსაზღვრას იმ მოტივით, რომ მან მოინანია ჩადენილი დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან და ხელი შეუწყო დამნაშავეს დადგენა-დაკავებას. გარდა ამისა, ზ. წ-იას პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, გამორიცხულია, რომ მან კვლავ ჩაიდინოს რაიმე დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ვ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორ ვ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ზ. წ-იას მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უდავოდ დადასტურებულია საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის, მოწმე დავით ხ-იასა და თავად მსჯავრდებულის ჩვენებებით, დაკავებისა და ამოღებით ოქმებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა სათანადოდ გამოიკვლიეს ის მტკიცებულებები, რომლებიც ახასიათებს ზ. წ-იას პიროვნებას, გაითვალისწინეს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და ისე დაუნიშნეს სასჯელი. ამასთან, სსსკ-ის 565-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაშია მისაღები ჩადენილი ქმედების სიმძიმეც, რომლის გათვალისწინებით პალატა მიზანშეუწონლად მიიჩნევს ზ. წ-იასათვის სასჯელად ჯარიმის დანიშვნას.

დადგენილია, რომ ზ. წ-იას წაასწრეს დანაშაულის ჩადენისთანავე, რაც მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებაც, რომ ზ. წ-ია დაკავებულია 2006 წლის 17 ივლისს, ნაცვლად გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული 19 ივლისისა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. წ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

სახელმწიფო ბრალმდებელ ვ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენი ზ. წ-იას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შეუსაზამობა ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

განჩინება

#1575-აპ

28 თებერვალი, 2008 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. კ-იანის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სენაკის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენით ზ. კ-იანი გამართლდა საქართველოს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. კ-იანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი მასალა -26 ცალი ხელყუმბარა „ფ-1“, 2 ხელყუმბარა „რგდ-4“, 25 კაფსულა-დეტონატორი, 5 ქვეითსაწინააღმდეგო ნადმი, „ნურსის“ ტიპის 2 რაკეტა, ტყვიამფრქვევის 4320 ვაზნა, „აკს-ის“ სისტემის ავტომატის 1080 ვაზნა, 14 „რპგ-7“ ჭურვი დაშლილ მდგომარეობაში, 1 ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, ყუმბარა „რპგ-3“, 43 „დშკ-ს“ ვაზნა, „აკმ-ის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნების 7 კოლოფი, „აკმ-ის“ სისტემის ავტომატის ჯავშნის ცეცხლგამჩენი, „მაკაროვის“ 8 ვაზნა, ტყვიამფრქვევის 1147 ვაზნა, „აკმ-ის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2145 ვაზნა -მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა თავის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. სენაკში, რაც 2006 წლის 4 სექტემბერს ამოიღო სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებელმა.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. კ-იანს განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 4 სექტემბრიდან; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 10 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა ზ. ლ-იამ და მსჯავრდებულის ადვოკატმა გ. ს-ავამ.

პროკურორმა ზ. ლ-იამ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ზ. კ-იანის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია), 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და მისთვის საბოლოოდ 18 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო ადვოკატმა გ. ს-ავამ -მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემცირება 1 წლით თავისუფლების აღკვეთამდე, ამ სასჯელის პირობითად ჩათვლა 2 წლის გამოსაცდელი ვადით, ასევე, ჯარიმის შემცირება 4 ათას ლარამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული ზ. კ-იანი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უსამართლო და უკანონოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი მონაწილეობა, საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა, სამშობლოს წინაშე აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლასა და ერაყში სამშვიდობო მისიის შესრულებისას პირნათლად მოხდელი ვალი, ძველი ჭრილობებისა და ერაყში მიღებული თავის ტვინის მძიმე ტრავმის, აგრეთვე, პატიმრობის განმავლობაში ჩაუტარებელი მკურნალობის შედეგად გაურესებული ჯანმრთელობა; ასევე, არ გაითვალისწინა უმუშევარი დედ-მამისა და ლტოლვილთა სტატუსის მქონე ოჯახის მძიმე ფინანსური მდგომარეობა და ის, რომ პირველად სასამართლოში.

მსჯავრდებული საჩივარში მიუთითებს, რომ იგი დაეხმარა მძიმედ დაავადებულ ა. ძ-ურს და შეინახა მისი მიზნობრივი, არაკრიმინალური დანიშნულების საბრძოლო მასალა; გარდაცვალების წინ ა. ძ-ურმა მას დაუბარა, რომ ამ საბრძოლო მასალას წაიღებდნენ, მაგრამ ვინ და როდის -არ დაუზუსტებია; ეს ქმედება მთლიანად ჯდება საქართველოს სსკ-ის 32-ე და 38-ე მუხლების მოთხოვნებში; მისი ქმედება განაჩენით დადგენილად მიჩნეულ გარემოებებში არის მართლზომიერი და არაბრალეული; პიროვნული მახასიათებლებისა და განსაკუთრებული შემამსუბქებელი გარემოებების გათვალისწინებით, უსამართლო და მეტისმეტად მკაცრია მისთვის დანიშნული სასჯელი და მით უფრო -დამატებითი სასჯელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ზ. კ-იანი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

პროკურორი ზ. ლ-ია შესაგებლით ითხოვს, დაუშვებლად იქნეს ცნობილი მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის განაჩენი ზ. კ-იანის მიმართ დარჩეს უცვლელად იმ მოტივით, რომ საჩივრით შემოთავაზებული ვერსია არ გამორიცხავს მის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადასტურებულია, რომ ზ. კ-იანმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა საბრძოლო მასალა. ამ დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის, თავად მსჯავრდებულის ჩვენებები.

ზ. კ-იანმა სასამართლოს განუმარტა, რომ პოლიციელების მიერ ამოღებული საბრძოლო მასალა მიუტანა ა. ძ-ურმა. საბრძოლო მასალა რაიმე დანაშაულთან არ იყო დაკავშირებული და ეკუთვნოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ პარტიზანებს. ზ. კ-იანმა მიუთითა, რომ ეცოდებოდა ა. ძ-ური, იზიარებდა მის ეროვნულ იდეებს და თხოვნაზე, შეენახა აღნიშნული ნივთები, უარი ვერ უთხრა. მოგვიანებით ა. ძ-ური გარდაიცვალა და რადგან არავინ მიაკითხა, საბრძოლო მასალა შეინახა სახლის ჭერში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, მსჯავრდებულს დანიშნული აქვს მეტისმეტად მკაცრი სასჯელი, კერძოდ:

გასაჩივრებული განაჩენით დადგენილია, რომ ზ. კ-იანი ხასიათდება უაღრესად დადებითად, იგი უფროს მეთაურთა შემადგენლობის ოფიცერია, მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულია, მონაწილეობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში და საქართველოს ფარგლებს გარეთ სამშვიდობო ოპერაციებში, გადატანილი აქვს მძიმე ტრავმა.

მოცემულ შემთხვევაში პალატა ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულ დანაშაულის მოტივს და მიზანსაც. კერძოდ, ამოღებული საბრძოლო მასალა არ იყო შეძენილი და შენახული დანაშაულებრივი მიზნებისათვის. ამასთან, საგულისხმოა სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ზ. კ-იანის გულწრფელობაში დაეჭვების საფუძველი არ არსებობს, იგი პატრიოტული სულისკვეთების პიროვნებაა და შეეძლო საბრძოლო მასალის შენახვა მის მიერ მითითებული დანიშნულებით.

ასეთ ვითარებაში, მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლებისა და ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით, აშკარად უსამართლოა ზ. კ-იანისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმის დანიშვნა და იგი უნდა შემსუბუქდეს.

ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და მსჯავრდებულის მატერიალურ მდგომარეობას, ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ მიზნებს აშკარად არ შეესაბამება დამატებითი სასჯელად დანიშნული ჯარიმის ოდენობაც და იგი უნდა შემცირდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. კ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ზ. კ-იანს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელი -3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლითა 6 თვით, ხოლო დამატებითი სასჯელად განსაზღვრული სასჯელი -ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით შეუმცირდეს 6 000 ლარით;

ზ. კ-იანს საბოლოოდ სასჯელად განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელად ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით.

იმის გამო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უკვე გადახდილია 4000 ლარი, ზ. კ-იანი გათავისუფლდეს ამ განჩინებით დამატებით სასჯელად განსაზღვრული 4000 ლარის გადახდისაგან.
ზ. კ-იანს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2006 წლის 4 სექტემბრიდან.
გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შეუსაბამობა ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

განჩინება

#1706-აპ-07

8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
მ. ოშხარელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ქ-იას დამცველის, ადვოკატ ა. ტ-ავას საკასაციო საჩივარი ქუ-თაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ქ-ია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ლ. ქ-იას მსჯავრი დაედო ისეთ დანაშაულში, როგორცაა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 1 მარტს ლ. ქ-ია, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალზე კანონით ნებადართულ სიჩქარეზე გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა მსუბუქ ავტომანქანა BM3-320-ს. აღნიშნული გზის 380-ე კილომეტრზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის ტერიტორიაზე, მოძრაობისას მან დაარღვია „საგზაო მოძრაობის წესების შესახებ“ საქართველოს კანონის 27.1 მუხლითა და 29.1 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, რა დროსაც ავტომანქანით თავისი სამომრავო ზოლიდან გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და შეეჯახა გზის გვერდულზე ფეხით მოსიარულე მოქალაქეებს - ი. ო-იასა და ა. ძ-ურს, რომლებიც მიღებული დაზიანებების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ქ-იამ, რომელიც თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის ნაწილში, კერძოდ, მისთვის სასჯელის შემსუბუქებას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით: იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი შემამსუბუქებელი გარემოებები, არ გაითვალისწინა ასევე მისი უმწიკვლო სამსახურებრივი რეპუტაცია და მიუსაჯა მაქსიმალური სასჯელი.

სააპელაციო საჩივარზე დაზარალებულების უფლებამონაცვლეების -მ. ძ-ურის, ს. ო-იასა და ლ. ჭ-ავას წარმომადგენელი, ადვოკატი კ. ს-ია თავის მიერ წარმოდგენილი შესაგებლით ითხოვდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ქ-იას მიმართ უცვლელად დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. ქ-იას დამცველმა, ადვოკატმა ა. ტ-ავამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც იმავე მოტივების საფუძველზე, რაც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად 8 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე -დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედის პირობით ჩათვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. ქ-იას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. ქ-იამ ნამდვილად ჩაიდინა განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაული, რაც უტყუარად არის დადასტურებული საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით, რის გამოც განაჩენი ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. ქ-იას მიმართ სასჯელის განსაზღვრისას როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ დაარღვიეს სასჯელის დანიშვნის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორცაა - პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი და სამართლიანობის პრინციპი, რამაც გამოიწვია ლ. ქ-იასათვის ზედმეტად მკაცრი და ამკარად უსამართლო სასჯელის დანიშვნა, რომელიც სცილდება კანონით განსაზღვრულ სასჯელის მიზნებს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ორივე განაჩენი, რომლებიც დაცვის მხარემ გაასაჩივრა, სასჯელის დანიშვნის ნაწილში სრულიად დაუსაბუთებელია, კერძოდ, სასამართლოს არა აქვს დასაბუთებული, თუ რა მოტივით უნდა დაენიშნოს ლ. ქ-იას სასჯელის მაქსიმალური ზომა, მაშინ, როდესაც არსებობს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი არაერთი გარემოება და რომლებიც საერთოდ შეუფასებელი დარჩა სააპელაციო სასამართლოს.

ზემოაღნიშნული გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ლ. ქ-იას მიმართ სასჯელის დანიშვნისას დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტითა და 565-ე მუხლით გათვალისწინებული არსებითი დარღვევა, რაც განაჩენის შეცვლის საფუძველია.

საკასაციო პალატის დასკვნით -იმის გათვალისწინებით, რომ ლ. ქ-ია პირველად არის სამართალში, მისი წარსული და პიროვნება ხასიათდება დადებითად, ნებაყოფლობით გამოცხადდა საგამომიებო ორგანოში ბრალის აღიარებით, გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და, ამასთან, არ არსებობს მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, მას უნდა შეუმცირდეს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი და საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

რაც შეეხება კასატორის, ადვოკატ ა. ტ-ავას მოთხოვნას ლ. ქ-იას მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შედავათის გამოყენების შესახებ, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, საქმის გარემოებიდან გამომდინარე, საამისოდ არ არსებობს დასაბუთებული საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. ქ-იას დამცველის, ადვოკატ ა. ტ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ლ. ქ-იას განაჩენით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით -შეუმცირდეს 3 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შეუსაბამობა ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

განჩინება

#763-აპ

9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენით გ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით -3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. კ-შვილს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. კ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. კ-შვილმა გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი -"მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი #HY-8075 და საბრძოლო მასალა -ორი 9 მმ კალიბრის ვაზნა, რაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა გამოიძიებით დაუდგენელ ადგილზე.

2007 წლის 13 მარტს გ. კ-შვილმა აიღო მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა და მართლსაწინააღმდეგოდ ატარება. დაახლოებით 3.20 საათზე იგი თავის მეგობრებთან -გ. პ-იანთან და ი. ჩ-შვილთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, აღ. ყაზბეგისა და თამარაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, რა დროსაც მათ გააჩერეს ტაქსი ავტომანქანა „ოპელ ვექტრა“, რომელსაც მართავდა მძღოლი დ. გ-შვილი და ჩასხდნენ მასში, ამ დროს ტაქსს ავტომანქანით ჩაუარეს საპატრულო პოლიციის ვაკე-საბურთალოს მიმართულების პატრულ-ინსპექტორებმა, რომლებიც ახორციელებდნენ პატრულირებას სამოქმედო კვადრატში. პოლიციის მუშაკების დანახვაზე უკან მჯდომმა გ. კ-შვილმა დამალვის მიზნით თავი დახარა, რაც პატრულ-ინსპექტორებმა მიიჩნიეს საეჭვოდ და მძღოლს მოსთხოვეს ავტომანქანის გაჩერება. როდესაც სამართალდამცავები მიუახლოვდნენ ავტომანქანას, იმის შიშით, რომ მათ არ შეემჩნიათ, გ. კ-შვილმა ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნებით და შეეცადა მათ დამალვას ავტომანქანის წინა, მარცხენა სავარძლის ქვეშ, რაც შეამჩნია პატრულ-ინსპექტორმა და გ. კ-შვილი დააკავეს ეჭვმიტანილის სახით, ხოლო ავტომანქანის ჩხრევისას ამოღებულ იქნა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რასაც ის ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით -3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. კ-შვილს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებული გ. კ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; როგორც წინასწარი გამოძიება, ისე სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულად, ცალმხრივად და კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევებით; განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები ეწინააღმდეგება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს; მას დანაშაული არ ჩაუდენია; სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას არ გაითვალისწინა გ. კ-შვილის ასაკი, დადებითი დახასიათება.

2008 წლის 29 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოვიდა მსჯავრდებულ გ. კ-შვილის განცხადება, რომლითაც იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი დაზუსტებული მოთხოვნით უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ გ. კ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების -ნ. ს-შვილის, გ. ხ-ძის, გ. ა-ძის, გ. ვ-ძის, რ. კ-ურის, გ. ჯ-ძის ჩვენებებით, ავტომანქანის ჩხრევის ოქმით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 13 მარტის #8-49/ზ ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 13 მარტის #რან/131 ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

რაც შეეხება გ. კ-შვილის მიმართ დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი უნდა შემსუბუქდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენი უნდა იყოს სამართლიანიც, რაც იმას გულისხმობს, რომ დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამავე კოდექსის 565-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის გამო, აშკარად უსამართლოა.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებული გ. კ-შვილი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, პირველადაა სამართალში, ხასიათდება დადებითად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, შესაძლებლად მიიჩნევა, რომ მას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ გ. კ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაზუსტებული მოთხოვნით დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ გ. კ-შვილს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. კ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

10. გადაწყვეტილებაში არსებული უზუსტობების აღმოფხვრა

განჩინება

#488-აპ

17 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. მ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განაჩენზე, რომლითაც ი. მ-მე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ი. მ-მე, აშკარად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით 6 წლით, სსკ-ის 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, შვილების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 26 აპრილიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ა/მანქანა „რენაულტი“, რომელსაც ი. მ-მე მართავდა, დაუბრუნდა მის კანონიერ მესაკუთრეს, ოჯახის წევრს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, საქართველოს სსკ-ის 615-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შეიტანა დაზუსტება, რომლის მიხედვითაც ი. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით 8 წლით, სსკ-ის 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით ი. მ-მეს მსჯავრი დაედო არაერთგზის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვისა და ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. მ-მე მცხეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 დეკემბრის განაჩენით ი. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

2007 წლის 26 აპრილს ი. მ-მემ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, ასევე დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი, პრეპარატ „სუბოტექსის“ აბის ნატეხი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰერონინი“, რომელიც მან უკანონოდ შეინახა შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში, ხოლო ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი, პრეპარატ „სუბოტექსის“ აბის ნატეხი -თავისი მართვის ქვეშ მყოფი „რენალტის“ მოდელის, ავტომანქანაში. 2007 წლის 26 აპრილს, 22 საათსა და 34 წუთზე, თბილისში, ნავთლუდის ქუჩის #6-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ი. მ-მე, მართავდა ზემოაღნიშნულ ავტომანქანას. დაკავების მომენტში მან სცადა, თავიდან მოეშორებინა ნივთიერი მტკიცებულებები და მოასწრო ნარკოტიკული საშუალების ნაწილის გადაყლაპვა, რომელიც მან დაკავების ადგილზე ამოიღო ღებინების გზით, ბიოლოგიური მასის სახით. ი. მ-მეს ფაქტობრივი დაკავების ადგილზევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ იქნა 0,0321 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰერონინი“, ხოლო ა/მანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა 0,00414 გრამი „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოტექსის“ აბის ნატეხი.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ი. მ-მე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე დაჯარიმდა 500 ლარით.

საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 27 აპრილის #2664 გამოკვლევის ლაბორატორიული დასკვნით ი. მ-მე იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების (ოპიუმის ჯგუფი) ზემოქმედების ქვეშ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. მ-მემ. აპელანტმა ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში გამართლება. მისი აზრით, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მის მიერ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში მიცემული ჩვენებები, კერძოდ ის, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მისი დაკავებისას დაარღვიეს როგორც საპროცესო, ასევე კონსტიტუციური ნორმები, მასზე მოახდინეს ფიზიკური ზეწოლა, არ მისცეს მოწმის დასწრების საშუალება და ჩაუდეს ნარკოტიკული საშუალებები, ხოლო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მან თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ და ითხოვა ბრალდების ამ ნაწილში განსაზღვრული სასჯელის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენი ი. მ-მის მიმართ დარჩა უცვლელად (ი. მ-მეს სასჯელად დარჩა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა).

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ი. მ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი, იქიდან გამომდინარე, რომ მსჯავრდებულს ნარკოტიკული ნივთიერება პოლიციელებმა ჩაუდეს, რის გამოც მსჯავრდების ამ ნაწილში თავს დამნაშავედ არ ცნობს, ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანასა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდების ამორიცხვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ ი. მ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენიდან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით შერაცხული მსჯავრდების ამორიცხვის შესახებ, უსაფუძვლოდის გამო.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების -ზ. თ-ძის, ზ. ჩ-შვილის, შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის -კ. კ-ძის ჩვენებებით, ი. მ-ძის პირადი ჩხრევის, მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრევისა და ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმებით, 2007 წლის 27 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის #594/სქ და შსს-ს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს #2664 გამოკვლევის ლაბორატორიული დასკვნებით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს კლინიკური საავადმყოფოს 2007 წლის 28 მაისის ამონაწერით ავადმყოფის სტაციონარის #853 სამედიცინო ბარათიდან, დიაგნოზით - ნარკოტიკული საშუალებით ინტოკსიკაცია, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული კვალიფიკაციის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2007 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით საქართველოს სსსკ-ის 615-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი სასჯელთან დაკავშირებით, რაც, პალატის აზრით, არასწორია, რადგან საქართველოს სსსკ-ის 615-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ის ბუნდოვანება -უზუსტობები, რაც, არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას; საქალაქო სასამართლომ კი თავისი გადაწყვეტილებით შეიტანა ისეთი დაზუსტება, რომელმაც გავლენა მოახდინა სასამართლოს დასკვნაზე, კერძოდ, სასჯელის ღონისძიებაზე.

აღნიშულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებული ი. მ-ძე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით 6 წლით, სსკ-ის 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. მ-ძეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სასჯელად უნდა განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ი. მ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებული ი. მ-ძე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით 6 წლით, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. მ-ძეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.